

83-ე კონგრესი, 8ე-2 სესია.

კანონპროექტი № 929.

წარმომადგენელთა პალატის მოხსენება № 2684, ნაწილი 9.

## საქართველოს ოკუპაცია და გასაბჭოება კომუნისტების მიერ

კომუნისტური აზრისთვის შემსავლელი  
საეციალური კომიტატის  
საგანგებო მოხსენება № 6.

აშშ კონგრესის წარმომადგენელთა პალატა

ოთხმოცდამასამე კონგრესი

მეორე სესია

წარმომადგენელთა პალატის 346-ე და 438-ე  
რეზოლუციებით



1954 წლის 31 დეკემბერს წარედგინა წარმომადგენელთა  
პალატის სახელმწიფო მდგომარეობის შემსწავლელ  
კომიტეტს და გადაეცა დასაბუქდად.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გამომცემლობა.  
ვაშინგტონი. 1955.

ს მ შ ბ რ -

1991 წლის 25 თებერვალი  
თბილისი

Union Calendar No. 929

83d Congress, 2d Session

- - - - House Report No. 2684, Part 9

COMMUNIST TAKEOVER AND  
OCCUPATION OF GEORGIA

---

SPECIAL REPORT NO. 6

OF THE

SELECT COMMITTEE  
ON COMMUNIST AGGRESSION  
HOUSE OF REPRESENTATIVES  
EIGHTY-THIRD CONGRESS

SECOND SESSION

UNDER AUTHORITY OF

H. Res. 346 and H. Res. 438



DECEMBER 31, 1954.—Committed to the Committee of the Whole House  
on the State of the Union and ordered to be printed

---

UNITED STATES  
GOVERNMENT PRINTING OFFICE

WASHINGTON : 1955

## შენსავალი

კომიტეტი მაღლობას მოახსენებს ჯორჯტაუნის უნივერსიტეტს, მის ფაკულტეტსა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა დაწესებულების ექსპერტებს ამ მოხსენების მომზადებაში განეული დახმარებისათვის. მოხსენებას საფუძვლად უდევს კომიტეტის სწდომების ჩანაწერები, აგრეთვე მონემების ჩვენებები, დოკუმენტები, ნიუმტიციტებები და სხვა სანდო მასალა.

მოხსენება მიზნად ისახავს საქართველოსა და ქართველი ხალხის ისტორიის უმთავრესი მომენტების, მათ შორის ამ ქვეყნის დაპყრობისა და ოკუპაციის კომუნისტური პერიოდის მიმოხილვას. ვიმედოვნებთ, ეს მოხსენება ამერიკელ ხალხს საშუალებას მისცემს, უკეთ გაეცნოს კომუნისზმის მიერ დამონებული ერებისა და ხალხების ისტორიას და, ამდენად, უფრო ღრმად გაიაზროს მსოფლიო კომუნისზმის დანაშაულებრივი ქმედების ბუნება, ტაქტიკა და საბოლოო მიზნები.

## ზოგადი აღწერილობა

საქართველო, მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი კულტურის ქვეყანა, კავკასიაში, შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის მდებარეობს, მას უკავია ამიერკავკასიის ცენტრალური და დასავლეთი ნაწილი და მოიცავს 35 000 კვ. მილს.

საქართველო უპირველესად ყოველთვის სოფლის მეურნეობის ქვეყანა იყო და მხოლოდ მოგვიანებით დაიწყო აქ ინდუსტრიის დარგების, განსაკუთრებით — წიაღისეულის მოპოვების, მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ავტომობილების წარმოების, კვების მრეწველობის განვითარება. საქართველო ერთობ მდიდარია წიაღისეულით, მათ შორის — მარგანცით, ქვანახშირით, ნავთობით, რკინის მადნითა და ურანით.

საქართველოში ფართოდ არის განვითარებული რკინიგზების სისტემა, რომლის სიგრძე დაახლოებით 900 მილია. შარაგზების სიგრძე დაახლოებით 3 500 მილს შეადგენს. დიდი კავკასიონის ქედს კვეთს ორი მნიშვნელოვანი საავტომობილო გზატკეცილი: საქართველოს სამხედრო გზა — დარიალის გავლით და ოსეთის სამხედრო გზა — მამისონის უღელტეხილის გავლით.

საქართველოს მოსახლეობა დღეს არის დაახლოებით 4 250 000 კაცი. აქედან 3 მილიონამდე სოფლად ცხოვრობს, ხოლო დანარჩენი — ქალაქად. დედაქალაქი და უმთავრესი ქალაქი თბილისი დაარსებულია V საუკუნეში, მისი მოსახლეობა დაახლოებით 640 000 კაცი.

ქართველები, რომლებმაც ქრისტიანობა IV საუკუნის დამდეგს მიიღეს, ბერძნულ მართლმადიდებლურ რელი-

გიას იზიარებენ. მხოლოდ მცირე პროცენტია კათოლიციზმის მიმდევარი, დაახლოებით 200 000 კაცი კი მუსულმანია.

## ისტორია

ქართველი ერი ბაბილონისა და ასურეთის დროს მცირე აზიაში მცხოვრები რამდენიმე უძველესი ხალხის შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა. ქართული ენის ისტორიული-ლინგვისტური შესწავლა ცხადყოფს, რომ ქართველები არ განეკუთვნებიან სემიტური, ინდოევროპული და ურალ-ალთაის მოდგმის ხალხებს; მათ, ზოგიერთ სხვა კავკასიულ ხალხსა და ბასკებს, როგორც ჩანს, საერთო წინაპარი უყავდათ. რუსებთან და სხვა სლავებთან ქართველებს საერთო არაფერი აქვთ.

თავის დროზე საქართველოს და საერთოდ კავკასიას ერთმანეთს ეცილებოდნენ რომი და სპარსეთი, ხოლო მოგვიანებით — ბიზანტია და არაბები; არაერთი იმპერია აღიგავა პირისაგან მიწისა, ხოლო საქართველომ შეინარჩუნა თავისი ეროვნული, პოლიტიკური და კულტურული თვითმყოფადობა. თავისთავადობის გამძაფრებას ხელს უწყობდა ქრისტიანობა, რომელიც ქართველებმა IV საუკუნეში მიიღეს.

IX საუკუნეში კავკასიაში ბაგრატიდების (ბაგრატიონების) დინასტიის ხელმძღვანელობით ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური რენესანსის ხანა იწყება. XI საუკუნის დასაწყისში ბაგრატ III-მ გააერთიანა საქართველოს ორი ძირითადი ნაწილი — აფხაზეთი (აღმოსავლეთი კოლხეთი) დასავლეთით და იბერია აღმოსავლეთით.

მომდევნო მეფეების დროს, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავნი არიან დავით აღმაშენებელი (1089-1125), გიორგი III (1156-84) და თამარ დიდი (1184-1212), საქართველოში ოქროს ხანა დამკვიდრდა. ქვეყანა ჩაერთო მუსულმანური ტრანსკასპიისა და ბიზანტიის შავიზღვისპირეთის ეკონომიკურ სისტემებში, რამაც ხელი შეუწყო სასაქონლო წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებას. XII საუკუნეში დაარსდა ევროპული უნივერსიტეტის წინამორბედი აკადემიები, სადაც ქართველი ახალგაზრდობა ნეოპლატონიზმსა და არისტოტელეს ფილოსოფიას ეზიარებოდა. თბილისში, სადაც არაბებმა ობსერვატორია ააგეს, გატაცებული იყვნენ ასტრონომიით. იმ დროს აიგო ქარ-

თული ხუროთმოძღვრების არაერთი შესანიშნავი ნიმუში. დიდ წარმატებებს მიაღწია ქართულმა ლიტერატურამ; შეიქმნა ისტორიული და ფილოსოფიური ნაშრომები, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია მიღწევები პოეტური ეპოსისა და ლირიკის დარგში. XII საუკუნის პოემა, შოთა რუსთველის საქვეყნოდ ცნობილი „ვეფხისტყაოსანი“, საქართველოს ოქროს საუკუნის ბრწყინვალეაზე მეტყველებს.

ეს დიდი აღმავლობა შეწყვეტა მონღოლთა შემოსევის ორმა ტალღამ — XIII საუკუნეში (ჩინგიზ-ხანი) და XV საუკუნის დამლევს (თემურ ლენგი). ქვეყანა გაჩანაგდა, მონღოლთა ვასალურ სახელმწიფოდ იქცა, სრულიად კავკასიის იმპერიას ბოლო მოეღო.

XVI საუკუნიდან XVIII საუკუნის დასასრულამდე ქართული სახელმწიფოები გმირულ, მაგრამ უიმედო წინააღმდეგობას უწევდნენ მუსულმანთა ძალმომრეობას. მხოლოდ თურქეთსა და ირანს შორის ქიშპობის წყალობით შეძლეს ქართველებმა დამოუკიდებლობის შენარჩუნება, თუმცა ზოგჯერ იძულებული ხდებოდნენ მეზობელი იმპერიები თავიანთ სიუზერენებად ეცნოთ.

თურქეთისა და სპარსეთის იმპერიების დასუსტებამ ქართველებს პოლიტიკური მოღონიერების საშუალება მისცა. ამ მხრივ ძალისხმევა არ დაუშურებიათ თეიმურაზ მეორესა (1744-62) და ერეკლე მეორეს (1762-98), რომელთაც სრულიად კავკასიის მძლავრი სახელმწიფო შექმნეს. აღდგა სამხედრო ძლიერება და ეკონომიკური კეთილდღეობა, მაგრამ სპარსეთი კვლავ იკრებდა ძალებს ყაჯართა დინასტიის ირგვლივ და ასეთ პირობებში აუცილებელი იყო მძლავრი სახელმწიფოს მოკავშირეობა და დახმარება.

ერეკლე II ამაოდ ეცადა დაეინტერესებინა დასავლეთი. ამიტომ იგი იძულებული გახდა, მიემართა რუსეთისათვის, ცოტა ამ სახელმწიფოსთან კავშირს ადრე არასოდეს გამოუღია კარგი შედეგი. 1783 წლის 24 ივლისს ერეკლე მეორემ და რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე დიდმა შეიმუშავეს თანამშრომლობისა და პროტექტორატის ხელშეკრულება. საქართველო ვალდებული იყო თავისი საგარეო პოლიტიკა რუსეთის იმპერიის განმგებლობისათვის დაეთნო, სამაგიეროდ მჯარველობის, დამოუკიდებლობის, მთლიანობისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის მტკიცე გარანტია მიიღო. მაგრამ ეს „მტკიცე გარანტია“ რუსეთმა არ შეასრულა. 1796 წელს ეკატერინე დიდის ტახტი დესპოტმა იმპერატორმა პავლე პირველმა დაიკავა. ერეკლე მეორის მემკვიდრე, უკანასკნელი მეფე გიორგი XIII (1798-

1800) ერთობ უნიათო გამოდგა. 1800 წლის 28 დეკემბერს იგი გარდაიცვალა და მის შვილებსა და ძმებს შორის ატყდა დავა ტახტის მემკვიდრეობის გამო. ამასობაში იმპერატორმა პავლე პირველმა 1801 წლის 18 იანვარს გამოსცა მანიფესტი, რომლითაც საქართველოს სამეფო რუსეთის იმპერიამ ანექსირებულად გამოაცხადა. 1801 წლის 15 სექტემბერს მისმა მემკვიდრემ ალექსანდრე პირველმა 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევა ახალი მანიფესტის გამოცემით დაადასტურა. საქართველოს ძველი სამეფო რუსეთის იმპერიის ნაწილად იქცა.

საქართველოს ანექსიისთანავე რუსეთმა ყველა ღონე იხმარა მისი დამოუკიდებლობის ყოველგვარი ნაშთის აღმოფხვრისა და ქართველი ხალხის გარუსებისათვის. მაგრამ იგი წააწყდა ქართველების მტკიცე ნებას, შეენარჩუნებინათ თავიანთი ტრადიციები, ენა და უძველესი ცივილიზაცია. XIX საუკუნის დამლევეს ამ ბრძოლამ ახალი, რევოლუციური ხასიათი მიიღო. ფეხი მოიკიდა სოციალიზმმა და მთელს საქართველოში სწრაფად გავრცელდა სოციალისტური დოქტრინები. სოციალისტურ იდეებთან შერწყმული ეროვნული მოძრაობა განმათავისუფლებელ მოძრაობაში გადაიზარდა, როდესაც პირველ მსოფლიო ომში დასუსტებულ რუსეთს გაუჭირდა დაპყრობილი ხალხების დამორჩილება. 1917 წელს რუსეთში რევოლუცია დაიწყო და დადგა თავისუფლების უამი.

რუსეთის რევოლუცია მოხდა პეტროგრადში 1917 წლის მარტში. მეფე ჩამოაგდეს. შეიქმნა დროებითი მთავრობა, რომელსაც თავისუფალი არჩევნები უნდა ჩაეტარებინა და ჭეშმარიტად წარმომადგენლობითი პარლამენტი შეექმნა. პარლამენტს, თავის მხრივ, უნდა გადაეწყვიტა რუსეთისა და იმპერიაში მოქცეული არარუსული ქვეყნების მომავალი სტატუსი.

ცარიზმის დამხობას ქართველები და რუსეთში შემავალი სხვა ხალხები დიდი სიხარულით შეხვდნენ და, რაც მთავარია, ლოიალურნი დარჩნენ ახალი ხელისუფლებისადმი. ქართველებს არ უცდიათ რუსეთის სახელმწიფოსაგან გამოყოფა, ისინი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენითა და თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსების მოთხოვნით კმაყოფილდებოდნენ. მაგრამ 1917 წლის ნოემბერში ხელისუფლებას რუსეთში ბოლშევიკები დაეპატრონენ და ვითარება უმალ შეიცვალა. ქართველებმა და სხვა კავკასიელებმა უარი თქვეს, ეცნოთ ბოლშევიკური რეჟიმი და 1917 წლის 22 ნოემბერს შეიქმნა საქართ-

ველოს ეროვნული საბჭო, რომლის პრეზიდენტად აირჩიეს ნოე ჟორდანიას. ამგვარ გზას დაადგნენ სომხეთი და აზერბაიჯანიც.

1918 წლის 3 მარტს ბოლშევიკებმა ხელი მოაწერეს ბრესტ-ლიტოვსკის ზავს, რომლის ერთ-ერთი პუნქტის თანახმად საქართველოს ორი პროვინცია (ბათუმისა და არდაგანის მხარეები) და სომხეთის პროვინცია (ყარსი) თურქეთს უნდა გადასცემოდა. კავკასიელებმა, ცხადია, უარყვეს ეს ხელშეკრულება. 1918 წლის 9 აპრილს მათ გამოაცხადეს ამიერკავკასიის გამოყოფა რუსეთისაგან და დაადასტურეს ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა, რომელშიც შევიდნენ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ეს იყო პირველი ნებაყოფლობითი ფედერაცია ამ სამი კავკასიელი ერის ისტორიაში.

რევოლუციის დაწყებისთანავე, განსაკუთრებით ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების მომენტიდან, დაიწყო დაშლა რუსეთის იმ არმიამ, რომელიც თურქებს ებრძოდა კავკასიის ფრონტზე. ჯარისკაცებმა თითქმის ერთიანად ამოხოცეს ოფიცრები, თავიანთი ალჭურვილობა და იარაღი თურქებს მიჰყიდეს, მიატოვეს ფრონტი და რუსეთისაკენ დაიძრნენ. საქართველო და სომხეთი ფაქტობრივად დაუცველი დარჩა შეტევაზე გადმოსული თურქეთის მძლავრი ჯარების პირისპირ. რუსეთის არმიაში განვული 200 000 ქართველიდან საქართველოში იმყოფებოდა მხოლოდ 15 000-დან 18 000-მდე, დანარჩენები კვლავაც გერმანიისა და ავსტრიის ფრონტებზე იყვნენ. მაგრამ კავკასიელებმა, უპირველესად — ქართველებმა და სომხებმა, გადაწყვიტეს წინ აღდგომოდნენ თურქების შემოტევას და, როგორც კი მათი ძალები ქართველებისა და სომხების პირისპირ აღმოჩნდნენ, დაიწყო ბრძოლა. მაგრამ თავდაპირველად ბრძოლა უიმედო ჩანდა; თანაც ამიერკავკასიის ფედერაციის შესაძენ წევრი — აზერბაიჯანი, რომლის მოსახლეობა თურქულ მოდგმას განეკუთვნება და მუსულმანური სარწმუნოებისაა, თურქეთს მიემხრო. 26 მაისს ამიერკავკასიის ფედერაცია გაუქმდა და იმავე დღეს საქართველოს ეროვნულმა სათათბირომ, რომელშიც ყველა პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია იყო წარმოდგენილი, საზეიმოდ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა.

ამგვარად, 116-წლიანი შუალედის შემდეგ, საქართველომ კვლავ მოიპოვა თავისი კანონიერი ადგილი თავისუფალ ერთა ოჯახში.

## საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა

საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეულმა საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 26 მაისს თბილისში გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელიც საზეიმოდ დაადასტურა ეროვნულმა ყრილობამ 1919 წლის 12 მარტს.

საქართველოს მთავრობასა და ხალხს საშუალება მიეცა მთელი ძალ-ღონე მოეხმარებინა ქვეყნის აღდგენისა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის, მაგრამ ეს ადვილი საქმე როდი იყო. ოთხწლიანი ომით, რევოლუციით, კონტრრევოლუციით, სამოქალაქო ომით გამოწვეული ანარქია, ფულადი მიმოქცევისა და ეროვნული ეკონომიკის სრული მოშლა, რევოლუციის შედეგად წარმოშობილი დეზერტირთა და ბოროტმოქმედთა შეიარაღებული მოთარეშე რაზმები — აი, რას უნდა გამკლავებოდა ახალი ხელისუფლება. თუ ამ ვითარებას გავითვალისწინებთ, უნდა ითქვას, რომ სამი წლის მანძილზე, ანუ საბჭოთა არმიის მიერ საქართველოს დაპყრობამდე, ქართველმა ერმა და მისმა თავკაცებმა საოცრად ბევრი რამ გააკეთეს და თავისი პოლიტიკური და ეროვნული სიმწიფე დაადასტურეს.

პირველი, რაც ახალმა მთავრობამ მოიმოქმედა, ეს იყო ეროვნული გვარდიის (მილიციის) შექმნა და ქვეყანაში სიმშვიდისა და წესრიგის დამყარება.

როგორც კი წესრიგი აღდგა და ქვეყანა მეტ-ნაკლებად ნორმალური ცხოვრების პირობებს დაუბრუნდა, ეროვნული საბჭო დამფუძნებელი კრების, ანუ პირველი პარლამენტის არჩევნებისათვის მზადებას შეუდგა. არჩევნები გაიმართა 1919 წლის თებერვალში პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო და პროპორციული საამომრჩევლო სისტემის, ანუ უაღრესად დემოკრატიული წესების მიხედვით. ხმის უფლება ჰქონდა რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს 20 წლის ასაკიდან, რასის, ეროვნების, სქესის, სარწმუნოებისა და სოციალური მდგომარეობის განურჩევლად. არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა დაახლოებით 77 პროცენტი, ხოლო ცალკეულ რეგიონებში მათი რაოდენობა 80 პროცენტს აღწევდა. არჩევნების შედეგად ეროვნულმა სათათბირომ ასეთი სახე მიიღო: სოციალ-დემოკრატები — 103 ადგილი; ეროვნული დემოკრატები — 11; ფედერალისტები — 8; სოციალ-რევოლუციონერები — 5; სომეხ დაშნაკთა პარტია — 3.

კომუნისტებმა ერთი ადგილიც ვერ მოიპოვეს, მათ ხმა



მისცა ამომრჩეველთა 1 პროცენტზე ნაკლებმა. სათათბიროში წარმოდგენილი იყვნენ ორივე სქესის დეპუტატები. ქართველების გარდა, აირჩიეს ეროვნულ უმცირესობათა კანდიდატები: სომხები (10), აზერბაიჯანელები (4), რუსები (2), ებრაელები (2), ბერძნები (7), გერმანელები (7). სათათბირო 130 წევრისგან შედგებოდა. ეროვნული სათათბიროს უმთავრესი ამოცანა იყო რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავება. ეს საქმე საგანგებო კომისიას დაევალა.

საქართველოს კონსტიტუცია საბოლოო სახით მიიღეს 1921 წლის 22 თებერვალს, ანუ წითელი არმიის მიერ დაწყებული თავდასხმიდან მეთერთმეტე დღეს. კონსტიტუცია შეეხამებოდა მსოფლიოს მოწინავე დემოკრატიული ქვეყნების მიერ დადგენილ პრინციპებს და საქართველოს ამკვიდრებდა დემოკრატიულ სახელმწიფოდ, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

### მიწის რეფორმა

საქართველო პატარა ქვეყანაა; მისი დიდი ნაწილი უკავია მთებს, ტყეებსა და საძოვრებს, რომლებიც უვარგისია სახნავ-სათესად. ამდენად, და მეტადრე იმის გამო, რომ მიწის დიდი ნაწილი მსხვილ მიწათმფლობელთა საკუთრება იყო, ქართველი გლეხობა, რომელიც მოსახლეობის 75 პროცენტს შეადგენდა, მიწის ნაკლებობას განიცდიდა. მთავრობამ უპირველეს მიზნად დაისახა მიწის რეფორმის გატარება. მიწა შეეძლო ჰქონოდა მხოლოდ მასზე მომუშავეს. მსხვილ მიწათმფლობელებს ჩამოართვეს მიწის ნაწილი; დადგინდა ამგვარი კონფისკაციის წესები და მიწის ის მაქსიმალური ფართობი, რომელიც ყოველ მესაკუთრეს რჩებოდა. ამგვარად მიღებული ნაკვეთები დაურიგდათ გლეხებს; თითოეულ ოჯახზე მოდიოდა დაახლოებით 10 ჰექტარი (ეს რიცხვი მერყეობდა რეგიონების მიხედვით). დანარჩენი ფართობი სახელმწიფო საკუთრებად რჩებოდა. აკრძალული იყო მიწის შესყიდვა, გასხვისება ან სხვა გზით დაპატრონება. სახელმწიფოს გარდა არავის ჰქონდა მიწის გაყიდვის უფლება. ტყეები სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა, სახელმწიფოს დაევალა მათი მოვლა-პატრონობა.

ეს რეფორმა, ცალკეული ნაკლოვანებისა და უსამართლობის მიუხედავად (ყოფილ მეპატრონეებს არ მიუღიათ კომპენსაცია, ანდა ერთობ უმნიშვნელო საზღაური მიეცათ), საქართველოს გლეხობის ანუ რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობის დიდი მონაპოვარი იყო.

სამინათმოქმედო ფონდის გაფართოების მიზნით, მთავ-

რობამ შეიმუშავა არაერთი საირიგაციო პროექტი და, ამასთანავე, მიზნად დაისახა შავი ზღვისპირეთის ჭაობიანი მიწების ამოშრობა. გადანყდა, გაეჩეხათ ტყეების ერთი ნაწილი მინათმოქმედებისათვის ვარგისი მიწის მისაღებად.

### სოციალური კანონები

საქართველოს პარლამენტმა მუშების უფლებების დასაცავად გამოსცა კანონებისა და დეკრეტების მთელი წყება. როგორც წარმოებაში, ისე დაქირავებული შრომის ხანგრძლივობა დაკანონდა 8 საათით და კვირაში 1 უქმე დღით. ზევადიანი სამუშაო ნებადართული იყო მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და თანაც ორმაგი ანაზღაურებით. აიკრძალა ბავშვის შრომა, ქალების მუშაობა საღამოსა და ღამის საათებში. მუშები უზრუნველყოილი იყვნენ ყოველწლიური ანაზღაურებული შვებულებით. შეიმუშავეს სპეციალური „ტარიფების ნიხრი“, რომელშიც მითითებული იყო ანაზღაურების მინიმუმი. კანონით გარანტირებული იყო პროფესიული კავშირებისა და ასოციაციების შექმნისა და გაფიცვის უფლება. საგაფიცვო პრობლემების მოსაგვარებლად მუშების, მენარმეთა წარმომადგენლებისა და შრომის მინისტრის მონაწილეობით შეიქმნა არბიტრაჟის კომიტეტი. იმ დროისათვის, როდესაც წითელი არმიის შემოტევა დაიწყო, საქართველოში არსებობდა 116 თავისუფალი პროფესიული კავშირი ისეთივე უფლებებით, როგორიც აქვთ პროფკავშირებს მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებში.

### ბანათლება

მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა განათლების საკითხს. გაიხსნა მრავალი ახალი სკოლა, მრავალიც უნდა შექმნილიყო. უნივერსიტეტში თუ სხვა სასწავლებლებსა და სკოლებში საგნები, ცხადია, ქართულად ისწავლებოდა. როგორც კი მოხდა რევოლუცია, თბილისში დაარსდა ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც 1917 წლის შემოდგომაზე მუშაობას შეუდგა. პირველსავე წელს უნივერსიტეტში სამი ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობდა. მოგვიანებით გაიხსნა სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც.

არანაკლები ყურადღება ეთმობოდა ხალხის ჯანმრთელობას და, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა დიდ ფინანსურ სიძნელეებს განიცდიდა, ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯანმრთელობის დაცვას ხმარდებოდა. საინტერესოა ის

ფაქტი, რომ საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტში განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის გამოყოფილი თანხა ყოველთვის აღემატებოდა შეიარაღებული ძალებისათვის გათვალისწინებულს.

**საქართველოს აღიარება სსსრ სახელმწიფოთა მიერ**

რესპუბლიკად გამოცხადების დღიდან საქართველოს უდავო წინვლამ დიდად შეუწყო ხელი სსსრ სახელმწიფოების მხრიდან მის აღიარებას, რაც უთუოდ იყო მთავრობის საგარეო პოლიტიკის მთავარი საზრუნავი. საქართველო წარმოდგენილი იყო ვერსალის კონფერენციაზე. მისმა დელეგაციამ მიაღწია საქართველოს დე ფაქტო აღიარებას მოკავშირეების (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, ბელგია და იაპონია) მიერ 1920 წლის 11 იანვარს.

თურქეთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც საქართველო აღიარა დე იურე. ეს მოხდა 1918 წლის 3 ივნისს. შემდეგი იყო არგენტინა — 1919 წლის 13 სექტემბერი. მოკავშირე ქვეყნების უზენაესმა საბჭომ (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, ბელგია და იაპონია) საქართველო დე იურედ აღიარა 1921 წლის 27 იანვარს. მალე ამავდროულად დაადგა ბევრი სხვა ქვეყანა. ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც საქართველო მხოლოდ ფორმალურად აღიარა, ამერიკის შეერთებული შტატები იყო.

ბატონმა ლეო დუმბაძემ 1954 წლის 13 ოქტომბერს ჩვენს კომისიას განუცხადა:

„მე ხელთ მაქვს ყველა იმ ქვეყნის სია, რომელთაც აღიარეს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. მიუთითებ თარიღსაც. მოკავშირე ქვეყნების უზენაესმა საბჭომ — დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, იტალიამ, იაპონიამ, ბელგიამ აღიარეს 1921 წლის 27 იანვარს; პოლონეთმა — 1921 წლის 28 იანვარს; რუმინეთმა — 1921 წლის 18 თებერვალს; ავსტრიამ — 1921 წლის 17 თებერვალს; ლუქსემბურგმა — 1921 წლის 23 თებერვალს; შვეიცარიამ — 1921 წლის 9 მარტს; ლიბერიამ — 1921 წლის 28 მარტს; მექსიკამ — 1921 წლის 14 აპრილს; პანამამ — 1921 წლის 26 აგვისტოს; სიამმა — 1921 წლის 20 ნოემბერს; ჩეხოსლოვაკიამ — 1921 წლის 8 აპრილს. აგრეთვე თურქეთის მთავრობამ — 1918 წლის 3 ივნისს; არგენტინის მთავრობამ — 1919 წლის 13 სექტემბერს; საბჭოთა რუსეთის მთავრობამ — 1920 წლის 7 მაისს; გერმანიის მთავრობამ — 1920 წლის 24 სექტემბერს“.

**კომუნისტების ძირაგამომთხრელი საქმიანობა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოსაზრების მოსაზრების მცდელობა**

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან კომუნისტები ცდილობდნენ დაემხონ რესპუბლიკა და

დაემყარებინათ საბჭოური წყობილება. 1918 წლის მაისის დამლევს, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ორიოდე დღის შემდეგ, კომუნისტების რაზმებმა დაიწყეს შემოტევა საქართველოზე ჩრდილო კავკასიიდან, რომელიც იმჟამად მათ ხელში იყო. თავდასხმა ხორციელდებოდა ორი მიმართულებით — კავკასიონის მხრიდან, დარიალის ხეობის გავლით თბილისისაკენ, და შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ სოხუმისაკენ. დარიალთან კომუნისტებს წინ აღუდგნენ ქართული რაზმები, სასტიკად დაამარცხეს და უკუაქციეს გაფანტულები. სოხუმის მიმართულებით მათ თავდაპირველად ერთგვარი წარმატება ხვდათ, მაგრამ მცირე ხნით. ქართული რაზმები კონტრშეტევაზე გადავიდნენ, რამდენიმე სასტიკი დამარცხება აგემეს მონინალმდეგეს, გაათავისუფლეს საქართველოს ტერიტორია და 1918 წლის 26 ივლისისათვის გადარეკეს კომუნისტები საქართველოს საზღვრებს მიღმა და ტუაფსემდე მისდიეს.

რუსეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და კომუნისტებს არ შეეძლოთ საკმარისი ძალების გამოყოფა საქართველოს დასაპყრობად. ამიტომაც ერთხანს ხელი აიღეს აშკარა აგრესიაზე და მთელი ყურადღება ძირგამომთხრელ საქმიანობაზე გადაიტანეს. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ათასობით მათმა აგენტმა შეაღწია საქართველოში, რომლის სასაზღვრო დაცვა და საპოლიციო სამსახური ჯერ კიდევ არ იყო კარგად ორგანიზებული. ისინი იარაღით, ამუნიციითა და ფულით ამარაგებდნენ დეზერტირებს, ბანდიტებს, სხვა ბოროტმოქმედთ, რომლებიც საქართველოში, ისევე როგორც ყველა სხვა ქვეყანაში, კომუნისტების მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდნენ. 1918 წლის შემოდგომის დამლევისათვის ამ ბოროტმოქმედთა რაზმებმა კომუნისტების თაოსნობით დუშეთის მხარეში მოაწყეს ამბოხებისა და უკმაყოფილების ინსცენირება, მაგრამ სულ მალე ისინი ადვილად ალაგმეს მცირე რაზმების ძალით.

1919 წელსა და 1920 წლის დასაწყისში რუსეთში სამოქალაქო ომი ფაქტობრივად დამთავრდა. თეთრები დამარცხდნენ და ყველგან კომუნისტები ზეიმობდნენ. მთელი ჩრდილო კავკასია კვლავ მათ ხელში აღმოჩნდა.

1920 წლის აპრილში, გულდასმით მომზადებული გადატრიალების შედეგად, ბაქოში ხელისუფლება დაამხეს. ნითელი არმია შეიჭრა და მთლიანად დაეპატრონა ამ რესპუბლიკას, რომელიც აღმოსავლეთით საქართველოს ესაზღვრება. აპრილის შუა რიცხვებში ნითელი არმია საქართველოს საზღვრებს მოადგა; აზერბაიჯანში ადვილი წარ-

მატებით გათამამებული, არ შეჩერდა იქ და საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრა. იმავე დროს, კომუნისტები შეეცადნენ თბილისშიც მოეხდინათ სახელმწიფო გადატრიალება. კომუნისტური აგენტებისა და კრიმინალური ელემენტების შეიარაღებული ბანდა თავს დაესხა ქართველ კადეტთა კორპუსს და იქ განლაგებულ ბატალიონს. თუმცა ყველა სხვა ქართული რაზმი ამ დროს ფრონტზე იმყოფებოდა, ეს მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. კადეტებმა უკუაქციეს კომუნისტები, რომელთაგან არც ერთი არ გადარჩენილა.

აზერბაიჯანის მხრიდან მოიერიშე რუსების რაზმების მთავარი მიზანი იყო ხელთ ეგდოთ თბილისი, საქართველოს დედაქალაქი, რომელიც 60 მილით არის დაშორებული საზღვრისაგან. მაგრამ ქართველები მზად იყვნენ იერიშისათვის. იმ დროს საქართველოს დაახლოებით 40 000 ჯარისკაცი ჰყავდა, რომელთაგან 25 000-მდე რეგულარული წითელი არმიის რაზმებთან საბრძოლველად გაგზავნეს. გამოცხადდა აგრეთვე საყოველთაო მობილიზაცია. ბრძოლაში ფოილოს ხიდთან, სადაც თავი გამოიჩინა ქართულმა არტილერიამ, რუსებმა სასტიკი დამარცხება იწვნის და ერთიანად უკან დაიხიეს. ქართველების მიერ ტყვედ აყვანილთა შორის ყველა რუსი იყო. ამგვარად, გაქარწყლდა კომუნისტების განცხადება, თითქოს საქართველოს თავს დაესხნენ აზერბაიჯანელები და არა რუსები.

1954 წლის 13 ოქტომბერს, დაიფიცა რა კომიტეტის წინაშე, საქართველოს ჯარის ყოფილმა ოფიცერმა სიმონ კობიაშვილმა განაცხადა:

„საბჭოთა შენაერთები, რომლებიც 1920 წელს საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებდნენ, მთლიანად შედგებოდა იმ ნაწილებისაგან, რომლებიც თავის დროზე ურალის ფრონტზე კოლჩაკის არმიის წინააღმდეგ იბრძოდნენ. იმ დროსაც და 1921 წელსაც საბჭოთა ჯარს ფრონტზე არ მყოლია არც ერთი არარუსული შენაერთი.“\*\* არც ერთ არარუს ჯარისკაცს არ მიუღია მონაწილეობა ომში საქართველოს წინააღმდეგ. ყოველი სამხედრო ნაწილი, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებდა, საგანგებოდ იყო ჩამოყვანილი რუსეთიდან.“\*\* ჩემი აზრით, მათ ჯარში არარუსები რომ ყოფილიყვნენ, ისინი არ იბრძოლებდნენ და მაშინვე ჩვენს მხარეს გადმოვიდოდნენ“.

\* ფოილოსთან გამარჯვების შემდეგ ახალგაზრდა ქართული არმიის მეთაურმა, გენერალმა კვინიტაძემ სთხოვა საქართველოს მთავრობას, ნება მიეცა მისთვის, დასდევნებოდა დამარცხებულ მტერს საქართველოს საზღვრებს მიღმა. იგი და საქართველოს არმიის შტაბის ოფიცერთა უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ შეეძლოთ აზერბაი-



ჯანის განთავისუფლება და რუსების განდევნა ამიერკავკასიიდან. მაგრამ, თბილისში დასავლელი მოკავშირეების წარმომდგენელთა რჩევით, მთავრობამ უარი თქვა ომის გაგრძელებაზე. ეს იყო საბედისწერო შეცდომა, ვინაიდან სულ მალე წითელმა არმიამ დაიპყრო სომხეთიც და საქართველო სრულიად მარტო დარჩა.

კომუნისტებმა ფოილოსთან დამარცხების შემდეგ, ითხოვეს დაზავება, რასაც ხელი მოაწერეს მაისის დამდეგს.

საგულისხმოა, და ეს უნდა გვახსოვდეს, რომ იმ დროს, როცა საბჭოთა სამხედრო ნაწილებმა საქართველოზე გამოილაშქრეს, საქართველოს დელეგაცია მოსკოვში მოლაპარაკებას აწარმოებდა საბჭოთა მთავრობასთან ხელშეკრულების დასადებად. მას შემდეგ, რაც რუსეთის ჯარმა ფოილოს ხიდთან მწარე დამარცხება იწვინა და საქართველოს დაპყრობის ცდა ჩაიშალა, საბჭოთა მთავრობამ, როგორც იქნა, გადანყვიტა ხელშეკრულების დადება საქართველოსთან. მართლაც, 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის.

აი, ამ ხელშეკრულების ძირითადი მუხლები:

„მუხლი I. გამოდის რა რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მიერ აღიარებულ უფლებიდან ყველა ხალხთათვის თავისუფალი თვითგამორკვევის შესახებ სრულ გამოყოფამდე იმ სახელმწიფოსაგან, რომლის შემადგენლობაშიაც ისინი შედიან, რუსეთი უსიტყვოდ ცნობს საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობას და უარს ამბობს თავისი ნებით ყველა იმ სუვერენულ უფლებაზე, რაც რუსეთს ეკუთვნოდა ქართველი ხალხისა და მისი მინაწყელის მიმართ.

მუხლი II. გამოდის რა ამ ხელშეკრულების წინა, I მუხლში აღიარებულ პრინციპებიდან, რუსეთი ვალად იღებს უარყოს საქართველოს ყოველგვარ შინაურ საქმეებში ჩარევას“.

მიუხედავად ამისა, ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ, 9 თვის შემდეგ, საბჭოთა რუსეთი თავს დაესხა საქართველოს რაიმე საბაბის გარეშე. თავს დაესხა ვერაგულად და უზარმაზარი ძალებით ბოლო მოუღო ამ პატარა ქვეყნის დამოუკიდებლობას. მომდევნო წლებში მთელი მსოფლიო მიხვდა, რომ კომუნისტებს არ უნდა ენდო, რომ ისინი ხელს აწერენ ხელშეკრულებებს მხოლოდ იმიტომ, რათა დაარღვიონ იგი, როდესაც მოესურვებათ. მაგრამ 1920 წელს ჯერ კიდევ იმედოვნებდნენ, რომ საბჭოთა მთავრობა ისევე მოიქცეოდა, როგორც ნებისმიერი ნორმალური ცივილიზებული ქვეყნის მთავრობა. საქართველოს მთავრობა შეცდა, როდესაც მოსკოვის კომუნისტური ხროვის სიტყვა ირწმუნა და დაიჯერა, რომ „მშვიდობიანი თანაარსებობა“ საბჭოთა რუსეთთან შესაძლებელია. ძვირად დაუჯდათ ეს შეცდომა.

ბატონმა ლეო დუმბაძემ 1954 წლის 13 ოქტომბერს კონიტეტს განუცხადა:

„ხელის მონერიდან ცხრა თვის შემდეგ საბჭოთა რუსეთი ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საქართველოს და სასტიკი ბრძოლის შემდეგ პატარა ხალხის წინააღმდეგ, რომელიც გმირულად იცავდა მოპოვებულ თავისუფლებას, დაიპყრო იგი. 1921 წელს რუსეთმა კვლავ შეიერთა საქართველო.

ამგვარად, ჯერ 1801, ხოლო შემდეგ 1921 წელს ვერაგობით, ხელშეკრულების დარღვევითა და ძალმომრეობით რუსეთმა ორჯერ მოუღო ბოლო საქართველოს დამოუკიდებლობას. დაიპყრეს თუ არა საქართველო 1921 წელს, დაიწყო რუსულ-ბოლშევიკური ტერორის ხანა. მთავრობისა და საკანონმდებლო ორგანოების წევრებმა და ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა დატოვა საქართველო და დასავლეთ ევროპაში დამკვიდრდა. 33 წელიწადზე მეტია, რაც საქართველოში (და საერთოდ მთელს კავკასიაში) ტერორი მძვინვარებს.

ისევე, როგორც პირველი შეერთების დროს, საქართველო არც ამჯერად შერიგებია რუსეთის მმართველობას. შექმნილია ფარული ორგანიზაციები გამობრძმებული მებრძოლების ხელმძღვანელობით. 1924 წელს იფეთქა მძლავრმა აჯანყებამ, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში აჯანყებულნი დამარცხდნენ და 7 000 ქართველი დახვრიტეს, ხოლო 20 000 კაცზე მეტი გადაასახლეს. ამ ფართო მასშტაბის პირველ სისხლისღვრას სხვა მრავალი მოჰყვა. 1921 და 1941 წლებში 60 000 ადამიანი დახვრიტეს და 200 000 გადაასახლეს. და ეს ხდება ქვეყანაში, რომლის მოსახლეობა 4 მილიონს არ აღემატება.

საქართველოს ბრძოლას რუსული ბოლშევიკური უღლისაგან გასათავისუფლებლად შთელი მსოფლიო მხარს უჭერდა, სამწუხაროდ, მხოლოდ მორალურად, პროტესტს აცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოსაპობის წინააღმდეგ, მაგრამ პრაქტიკულად ვერაფრით უპირისპირდებოდა ბოლშევიკებს. ერთა ლიგისა და სხვადასხვა ქვეყნის რეზოლუციებში გამოხატულია თანაგრძნობა საქართველოსადმი. ერთა ლიგის მეხუთე ასამბლეამ გამოამყვანა უდღეისი სიმშაბითა თავისუფლებისათვის თავდადებით მებრძოლი ქართველი ხალხისადმი. ეს დეკლარაციები ხელმონერილია ინგლისის, საფრანგეთისა და ბელგიის წარმომადგენელთა მიერ. ეს იყო 1924 წელს ბოლშევიზმის წინააღმდეგ ქართველების დიდი აჯანყების შემდეგ“.

7 მაისის ხელშეკრულების ხელმონერის შემდეგ საბჭოთა მთავრობამ საქართველოში გაგზავნა სამასკაციანი „დიპლომატიური“ მისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ავადსახსენებელი კიროვი (იგი მოგვიანებით მოკლეს ლენინგრადში). მან მაშინვე მჭიდრო კავშირი დაამყარა საქართველოს კომპარტიის (რომელიც არ იყო აკრძალული საქართველოში) ლიდერებთან და ახალგაზრდა რესპუბლიკის წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას შეუდგა. მის განკარგულებაში იყო დიდძალი ფული, მრავალი გამოცდილი აგიტატორი, პროვოკატორი და აგენტი. შეიქმნა კომუნისტური უჯრედები და ჯგუფები, მოამზადეს „მეხუთე კოლონა“. ხელშეკრულების VI მუხლის უხეში დარღვევით საბჭოელებმა საქართველოს ტერიტორიის გარეთ „საქართველოს მთავრობაც“ კი შექმნეს. სხვათა შორის,

რამდენიმე წლი! უმდეგ სტალინმა დახვრიტა ამ ე. წ. „მთავრობის“ ყველა აევრი.

ვიდრე საქართველოში ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდნენ, მის საზღვრებთან სამხედრო სამზადისი მიმდინარეობდა. ეს სამზადისი შეუმჩნეველი არ დარჩენილა მსოფლიოსათვის და ლორდმა კერზონმა, იმუამად დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მდივანმა, საპროტესტო ტელეგრამა გაგზავნა მოსკოვში. აი, როგორი პასუხი გასცა მას საგარეო საქმეთა საბჭოთა კომისარმა ჩიჩერინმა:

„რუსეთმა უკვე აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. რუსეთი ნხარს უჭერს მცირე ერების თვითგამორკვევის პოლიტიკას.\*\*\* ჩვენ საქართველოს მიმართ არავითარი პრეტენზია არა გვაქვს.\*\*\* საბჭოთა რუსეთს არ ჰქონია და არც მომავალში ექნება რაიმე მტრული განზრახვა საქართველოს რესპუბლიკის მიმართ“.

მაგრამ სწორედ იმ მომენტში, როდესაც ჩიჩერინი ამ ტელეგრამას წერდა, რუსეთის ჯარები თავდასხმისათვის ემზადებოდნენ. გარე სამყაროსთან მთელი თავისი ურთიერთობის მანძილზე საბჭოთა რუსეთს არასოდეს უმოქმედია ისე ვერაგულად, როგორც მოიქცა საქართველოს მიმართ, და მისი აგრესია არასოდეს ყოფილა ასე აშკარა და ცინიკური.

### საქართველოს დაპყრობა წითელი არმიის მიერ

1921 წლის 11 თებერვალს წითელი არმია, რომელიც ოთხი საჯარისო კორპუსისაგან შედგებოდა, ერთდროულად დაიძრა ხუთი მიმართულებით. საქართველოს ორი ძირითადი დარტყმა მიაყენეს აღმოსავლეთიდან (აზერბაიჯანი) და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან (სომხეთი). დანარჩენი სამი დარტყმა მოხდა კავკასიის მთებიდან დარიალისა და მამისონის უღელტეხილების გავლით და შავიზღვისპირეთიდან. ამ მძლავრი ძალის ყველა ფრონტის წინააღმდეგ საქართველოს ჰყავდა 40 000-მდე ჯარისკაცი (რეგულარული არმია და ეროვნული გვარდია). დამოუკიდებლობის სამი წლის მანძილზე საქართველოს დასავლეთისაგან არ მიუღია არც ერთი თოფი და ამუნიცია; საერთოდ არ გააჩნდა ავიაცია და ტანკები. დიდი უპირატესობა აშკარად მტრის მხარეზე იყო. ქართული არმია იშვიათ გმირობას იჩენდა, მაგრამ მას არ შეეძლო გამკლავებოდა საბჭოეთის თავდასხმას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თურქეთიც რუსეთს მიემხრო და ომში ჩაება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმუამად ქემალ ფაშას თურქეთი ფიანდაზად ეგებოდა საბჭოთა რუსეთს, რომლისგანაც საბერძნეთსა და მოკავშირეებთან ომის დროს დახმარება მიიღო იარაღისა და ამუნიციის სახით.



1921 წლის 16 მარტს საქართველოს დამფუძნებელი კრება უკანასკნელად შეიკრიბა ბათუმში და დაავალა მთავრობას დაეტოვებინა ქვეყანა, გამგზავრებულიყო ევროპაში და იქიდან წარემართა ბრძოლა დამოუკიდებლობის აღსადგენად. მეორე დღეს მთავრობამ დატოვა საქართველო, ხოლო 20 მარტს ბათუმი რუსეთის ჯარებმა დაიკავეს.

ამგვარად, კომუნისტურმა რუსეთმა ვერაგულად, მოტყუებით და უხეში ძალით ბოლო მოუღო საქართველოს დამოუკიდებლობას, ისევე, როგორც ეს ჩაიდინა ცარიისტულმა რუსეთმა 120 წლით ადრე, 1801 წელს. თავდაპირველად კომუნისტები ცდილობდნენ შეექმნათ ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მათ არაფერი ჰქონიათ საერთო საქართველოზე თავდასხმასთან. მაგრამ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართული ჯარის მიერ ხელში ჩაგდებული ყოველი ტყვე რუსი იყო, მეტწილად რუსეთის ცენტრალური ნაწილიდან, და რეგულარულ წითელ არმიას ეკუთვნოდა.

საქართველოს მთავრობის პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას არაერთგზის მიმართვას საბჭოთა მთავრობისა და პირადად ლენინისადმი პასუხი არ მოჰყოლია. მოსკოვს გადაწყვეტილი ჰქონდა, ხელთ ეგდო საქართველო და ვერანითარი მოსაზრება, ძალის გარდა, მას ველარ შეაჩერებდა. უდავოა, რომ საქართველოზე თავდასხმის უშუალო ინიციატორი იყო სტალინი, წარმოშობით ქართველი. მას ეჯავრებოდა ქართველი ხალხი, რომელმაც უარყო იგი. როგორც ჩანს, ლენინი საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგი იყო. მას უშინოდა იმ ეფექტის, რომელსაც ეს აშკარა აგრესია მოახდენდა მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრზე. მაგრამ სტალინს რევანში სწყუროდა და შესაფერის მომენტს ელოდა.

აი, რას ამბობს ტროცკი სტალინზე საზღვარგარეთ დაწერილ და გამოცემულ წიგნში:

„სტალინს თითქოს დაავიწყდა, რომ 1920 წლის 7 მაისს ჩვენ საქართველოსთან ხელი მოვწერეთ მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას. მისი ბრძანებით 1921 წლის 11 თებერვალს წითელმა არმიამ გადალახა საქართველოს საზღვარი.\*\*\* ჩვენ სრულიად არ გვინდა მივჩქმალეთ ან დავამციროთ წითელი არმიის როლი კავკასიის გასაბჭოებაში. ამ არმიამ 1921 წლის თებერვალში რევოლუციას (?) დიდი დახმარება გაუწია.\*\*\* ჩვენ ვერ ვხედავდით ვერაფერს, რაც საქართველოს წინააღმდეგ წითელი არმიის გაგზავნაში ხელს შეგვიშლიდა“.

მაგრამ ამ წიგნის დაწერამდე დიდი ხნით ადრე, 1922 წლის აპრილში, ტროცკიმ რომელიც იმზანად წითელი არმიის მთავარი კომისარი იყო, განაცხადა:

„ჩვენ არ ვაპირებთ საქართველოს დატოვებას, მაგრამ, თუ მოვლე-

ნები ისე განვითარდება, რომ წასვლა აუცილებელი იქნება, კარს ისე მოვიჯახუნებთ, ყველაფერი შეზანზარდება; ქვას ქვაზე არ დავტოვებთ“.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანო, გაზეთი „კომუნისტი“ ოკუპაციიდან ექვსი კვირის შემდეგ, 1921 წლის 5 მაისს წერდა:

„საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ ჩვენმა მეგობარმა კლასობრივ ბრძოლაში, დახმარება გაგვინია და გვიხსნა ანტანტის კლანჭებისაგან“.

საქართველოს დაპყრობის მე-15 წლისთავზე, 1936 წლის თებერვალში, ბერია ამბობდა:

„1921 წლის თებერვალში საქართველო საბჭოთა წითელი არმიის დახმარებით განთავისუფლდა ჩაგვრისაგან და შეძლო საბჭოთა წყობილების დამყარება“.

ამავე შემთხვევის გამო მოლოტოვმა თქვა:

„მხოლოდ რუსეთის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წყალობით გახდა შესაძლებელი მენშევიკების (დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის) ტამხობა. ქართველი ხალხის განთავისუფლება დანყო მხოლოდ მაშინ, როდესაც რუსეთში გაიმარჯვა საბჭოთა ბოლშევიკურმა რევოლუციამ. წითელი არმია 1920 წელს მივიდა ამიერკავკასიაში, ხოლო 1921 წელს შევიდა საქართველოში და საჭირო დახმარება გაუწია ქართველ ხალხს“.

ქვემოთ ვიმონებთ აღიარებას კომუნისტების მხრიდან, რაც ყოველივეს ნათელს ჰფენს. ეს გახლავთ იმჟამად საქართველოს კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის ფ. მახარაძის მოხსენებითი ბარათი, გაგზავნილი მოსკოვში 1921 წლის 6 დეკემბერს, რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. აი, ზოგიერთი ამონაწერი ამ დოკუმენტიდან:

„საქართველოში წითელი ჯარის შემოსვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ მიიღო აშკარა გარეგანი დაპყრობის ხასიათი, ვინაიდან შიგინით ამ დროს არავინ არც კი ფიქრობდა აჯანყების მოწყობაზე. საბჭოთა ძალაუფლების გამოცხადებისას, საქართველოში არ აღმოჩნდა არც პარტიული უჯრედი, არც, მეტი რომ არ ვთქვათ, პარტიის ცალკე წევრი, რომელიც შეძლებდა ორგანიზებულად მოქმედებას და ხელმძღვანელობის განევას. ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს უმეტეს შემთხვევაში საეჭვო, ან პირდაპირ ბოროტმოქმედმა ელემენტებმა.\*\*\* უნდა ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ საქართველოს მასები შეეჩვივნ საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას.\*\*\* მართალი უნდა ითქვას, პირველ ხანებში ჩვენ თითქოს სწორ პოზიციაზე ვიდექით, ყოველ შემთხვევაში, სიტყვით მაინც. ჩვენ ყველანი ყველგან ვაცხადებდით, რომ საბჭოთა რუსეთი არასაგზით არ სპობს დამოუკიდებელ საქართველოს, რომ წითელი არმია მოვიდა მხოლოდ მასების გასანთავისუფლებლად ანტანტის ბრწყალებისაგან და სხვადასხვა. ბუნებრივად იბადება კითხვა: შევძლებთ თუ არა ჩვენ ამ პოზიციაზე შეჩერებას თუნდაც სულ მცირე ხნით მაინც და ამაზე ხომ ბევრი რამ იყო დამოკიდებული. მასების მოტყუება პოლიტიკით ხომ შეუძლებელია და განსაკუთრებით ქართველი ხალხისა, რომელიც ესოდენ გამომწვარი და გამობრძმედილია პოლიტიკაში ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში.\*\*\* ჩვენ ვუბნებოდით, რომ ვაშენებთ არა სავსებით, მაგრამ მაინც დამოუკიდებელ საბჭოთა სახელმწიფოს.\*\*\* მაგრამ იმტვარ ნაბიჯებს ვდგამდით, რომ უარყოფდა ყოველ ჩვენ დანაპირებს“.

თავდასხმის, ოკუპაციისა და საქართველოს გასაბჭოების დღიდან კომუნისტები აცხადებდნენ, რომ მათ „გაათავისუფლეს საქართველო იმპერიალისტურ-კაპიტალისტური უღლისაგან“. მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს ის ჭეშმარიტება, რომ საბჭოთა რუსეთმა ბოლო მოუღო საქართველოს დამოუკიდებლობას, ვინაიდან:

1. საქართველოს უაღრესად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ახლო და შუა აღმოსავლეთში პოზიციების თვალსაზრისით;

2. საბჭოთა რუსეთი ვერ შეეღწევა საქართველოს ეკონომიკურ სიმდიდრეს — მარგანეცს, ქვანახშირს, სპილენძს, ხე-ტყეს, თამბაქოს, ჩაის, ციტრუსებს, ბამბასა და ა. შ.

3. კომუნისტები ვერ მოითმენდნენ თავიანთ საზღვართან ჭეშმარიტად დემოკრატიულ დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომელიც მაგნიტივით მიიზიდავდა კავკასიის სხვა ხალხებს;

4. სტალინს პირადად სძულს საქართველო;

5. კომუნისტები აგრძელებენ ცარისტული რუსეთის იმპერიალისტური ექსპანსიის პოლიტიკას.

მართალია, როდესაც საქართველო თავის გადასარჩენად იბრძოდა, გარე სამყაროს მისთვის დახმარების ხელი არ გაუწვდია (საფრანგეთის ფლოტის შენაერთებმა რამდენჯერმე გაისროლეს შავი ზღვის სანაპიროზე მებრძოლი ქართული ჯარის დასახმარებლად, მაგრამ მაშინვე მოშორდნენ იქაურობას, როგორც კი ჰორიზონტზე ერთი საბჭოთა თვითმფრინავი გამოჩნდა), მაგრამ საბჭოთა რუსეთის მიერ მისი ანექსია შეუმჩნეველი როდი დარჩა. ევროპის მრავალ ქვეყანაში გაიმართა საპროტესტო მიტინგები და მიიღეს რეზოლუციები. საქართველოს საკითხი განიხილეს დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის პარლამენტებში, ერთა ლიგაში, არაკომუნისტურ მუშათა საერთაშორისო შეხვედრებზე და სხვ. 1926 წელს ეს საკითხი განიხილა კონგრესის 69-ე მოწვევის წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტმაც. მაგრამ ამ მიტინგებს, დებატებსა და პროტესტებს რაიმე შედეგი არ მოჰყოლია. არავის სურდა საბჭოთა კავშირის მომდურება სადღაც შორს, კავკასიაში მდებარე პატიარე ქვეყნის გამო. 1921 წელს მსოფლიოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეგნებული, რომ კოლექტიური უშიშროების პრინციპები და თავისუფლები კონცეფცია საყოველთაო და მხარდაჭერასა და დაცვას საჭიროებს, თუკი კაცობრიობას რეალური მშვიდობა სურს. საქართველოზე თავდასხმა და მისი ანექსია პირველი შემთხვევა იყო, რო-

დესაც საბჭოთა რუსეთმა ცინიკურად დაარღვია საერთა-  
შორისო ხელშეკრულება. კიდევ რამდენი ხელშეკრულება  
დაარღვია მან მას შემდეგ, ეს მთელ მსოფლიოს კარგად  
მოეხსენება.

### საქართველო საბჭოთა პირობებში

ნითელი არმია თბილისში 1921 წლის 25 თებერვალს  
შევიდა და იმავე დღეს გამოცხადდა საქართველოს საბჭო-  
თა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა. სამ დღეს გას-  
ტანა ქალაქში ძარცვა-გლეჯამ და გაუპატიურებამ. მოწმე-  
ები გვიამბობენ იმ საშინელებაზე, რაც ხდებოდა თბილის-  
ში და კომუნისტების მიერ ოკუპირებულ ყველა სხვა ქა-  
ლაქსა და სოფელში. მაგრამ, როდესაც ომი დამთავრდა,  
საბჭოთა კომუნისტურმა მთავრობამ რამდენადმე შეარბი-  
ლა თავისი დამოკიდებულება მოსახლეობისადმი. ცხადია,  
მრავალი ადამიანი დააპატიმრეს, მაგრამ პირველ ხანებში  
არც ისე ხშირად სჯიდნენ სიკვდილით. ლენინი თვითონ  
დაყინებით ურჩევდა ქართველ კომუნისტებს არ მიემარ-  
თათ იმავე ზომებისათვის, რომელთაც თვითონ იყენებდა  
რუსეთში. ერთი წლის მანძილზე საქართველო არც კი იყო  
შეყვანილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. მაგრამ  
1922 წლის 12 მარტს გამოცხადდა ამიერკავკასიის საბჭო-  
თა რესპუბლიკის შექმნა, რომელიც საქართველოს, სომხე-  
თისა და აზერბაიჯანისაგან შედგებოდა და საბჭოთა კავ-  
შირის ნაწილს წარმოადგენდა (1936 წელს ამიერკავკასია  
კვლავ დაიშალა შემადგენელ ნაწილებად).

თავდაპირველად ახალი მთავრობა მხოლოდ ქართველი  
კომუნისტებისაგან შედგებოდა და მას მოსკოვის მიერ  
საკმაოდ დიდი უფლებები ჰქონდა მინიჭებული. მაგალით-  
ად, მას ჰყავდა საკუთარი საგარეო საქმეთა მინისტრი და  
უფლება ჰქონდა შეექმნა მცირე კომუნისტური საბჭოთა  
არმია. მაგრამ ეს არმია არ იყო სანდო და მოგვიანებით  
იგი გააუქმეს.

მთავრობამ იცოდა, რომ ქართველი ხალხის უმრავლეს-  
ობა მის წინააღმდეგ იყო განწყობილი და ამიტომ პირველ  
ხანებში შემორიგების გზას დაადგა. რუსიფიკაცია არ შე-  
იმჩნეოდა, მით უმეტეს, რომ ეს ის დროა, როდესაც ლენინი  
და სხვა კომუნისტი ლიდერები, მართალია, „საბჭოთა  
სახელმწიფოსა“ და „საბჭოთა პატრიოტიზმის“ იდეოლო-  
გიის დანერგვას ცდილობენ, მაგრამ ამასთანავე გარკვეულ  
დათმობებზე მიდიან არარუსი ხალხების ეროვნული პა-

ტივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. განსაკუთრებულად გასაქანი მიეცა ეროვნულ ენებს, რადგან ეს ხელს უწყობდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ხალხში სოციალიზმის დაწერგვასა და გავრცელებას.

მაგრამ მალე ცხადი გახდა, რომ ქართველების გულს ვერ მოიგებდნენ. „საბჭოთა სახელმწიფო“ მათთვის ნიშნავდა „რუსულ სახელმწიფოს“, რომლის ერთგულ ქვეშევრდომობას არავინ აპირებდა. დამარცხებამ და დამოუკიდებლობის დაკარგვამ ქართველ ერს ჯერ თავზარი დასცა, მაგრამ მალე იგი საძულველი ოკუპაციისადმი აქტიურ წინააღმდეგობაზე გადავიდა. საინტერესოა, რომ ამჟამად პროტესტი პირველად მუშებმა გამოხატეს, რომელთა „განთავისუფლებისთვისაც“ შემოვიდა საქართველოში წითელი არმია.

ოკუპაციიდან რამდენიმე თვის შემდეგ თბილისში მუშებმა მოაწყვეს ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგი და მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვდნენ რუსული ჯარების გაყვანას, საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენას და ადამიანის უფლებათა დაცვას. — სიტყვის თავისუფლებას, თავისუფალ პრესასა და თავისუფალ პროფკავშირებს, ანუ ყველა იმ უფლებას, რომელიც მათ გარანტირებული ჰქონდათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს. ცხადია, კომუნისტურმა პოლიციამ დაშალა მიტინგი, ხოლო ყველა თავკაცი დააპატიმრა. ამის შემდეგ ხმა აღიმალღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა. მაგრამ, მუშებისა არ იყოს, მათაც შავი დღე დააყარეს. მრავალი სტუდენტი და სკოლის მოსწავლეც კი დახვრიტეს დემონსტრაციის დროს, ბევრიც დააპატიმრეს.

მაგრამ ყველაზე დიდი დემონსტრაცია გაიმართა მაშინ, როდესაც 1921 წელს, წითელი არმიის მიერ საქართველოს სისხლიანი დაპყრობიდან რამდენიმე თვის შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა გამარჯვებული სტალინი. ამ დროს იგი საკმაოდ დიდი ფიგურა იყო კომუნისტურ რუსეთში. მაგრამ, როდესაც ქართველი ხალხის პირისპირ აღმოჩნდა, მან დაინახა, რომ ერთია ქვეყნის დაპყრობა უცხოური ხიშტებით და სულ სხვაა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის იდეათა მოსპობა. თბილისის მთავრობის სასახლეში სიტყვით გამოსვლისას მას წამდაუნუნე აწყვეტინებდნენ, ხოლო ათასობით ქართველი გაიძახობდა: „მოლალატევ, მკვლელი, მოლალატევ!“ ფერწასულმა და დაბნეულმა სტალინმა, თავისი მცველებით გარშემორტყმულ-

მა, დატოვა დარბაზი. იმავე საღამოს მან მოიწვია კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და განუცხადა: „საქართველო საჭიროებს დაუთოებას ცხელი უთოთი“. სტალინის სურვილი გასაგები იყო და „ცხელმა უთომ“ მრავალი ათასი ქართველი დაწვა. სტალინი არ აღიარა საქართველომ, და ეს მას — საქართველოს — ძვირად დაუჯდა.

როდესაც კომუნისტებმა დაინახეს, რომ ქართველები არ აპირებდნენ დამორჩილებას, მათ შეცვალეს ტაქტიკა. მთელი სიმძლავრით ამუშავდა საბჭოთა ტერორისა და ჩაგვრის აპარატი. დაიწყო დაპატიმრებათა, გადასახლებათა და სიკვდილით დასჯის უსასრულო სერია. ამ დროისათვის თითქმის მთლიანად გამოცვალეს ადმინისტრაციული მუშაკები და ყველა საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვან თანამდებობაზე კომუნისტები დანიშნეს. საქართველო მოსკოვში გამოწრთობილი პროპაგანდისტებით აივსო, საიდუმლო პოლიცია, მრისხანე ჩეკა ყოვლისშემძლე გახდა.

შეიარაღებული წინააღმდეგობის დასაწყისი. 1921 წლის ზაფხულის დამლევისათვის საქართველოს ოკუპაციიდან რამდენიმე თვის შემდეგ, სვანეთში, საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის მთიან მხარეში, იფეთქა შეიარაღებულმა აჯანყებამ კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ. მას ხელმძღვანელობდა ბ. პირველი, რომელმაც ერთგვარ წარმატებასაც მიაღწია, მით უმეტეს, რომ აჯანყების ჩასახშობად გაგზავნილი ქართული საბჭოთა ჯარი აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა. მაშინ სვანეთში გაგზავნეს არტილერიითა და ავიაციით აღჭურვილი რუსული ჯარი, რომელმაც ძლიერი წინააღმდეგობის შემდეგ დაამარცხა აჯანყებულნი. მაგრამ მრავალი წლის შემდეგაც კომუნისტები ვერ ბედავდნენ სვანეთში გამოჩენას სამხედრო დაცვის გარეშე.

1922 წელს აჯანყებამ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ხევსურეთში იფეთქა. მას სათავეში ედგნენ ქართული ჯარის ყოფილი ოფიცრები, აგრეთვე მუშები, გლეხები, მასწავლებლები და ა. შ. (ლაშქარაშვილი, მხეიძე, ფორია, მათიაშვილი და სხვ.). აჯანყებულებმა საკმაოდ დიდი ზარალი მიაყენეს რუსების ჯარს. ყველაზე დიდ შენაერთს, რომელმაც მალე ნამდვილი ეროვნული არმიის მნიშვნელობა შეიძინა, სათავეში ედგა პოლკოვნიკი ქ. ჩოლოყაშვილი. იგი ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის მიდამოებში მოქმედებდა. ის და მისი მამაცი „შეფიცულეები“ მალე ეროვნული გმირები გახდნენ. მან და სხვა მებრძოლებმა განაგრძეს ქართველი ერის საბრძოლო ტრადი-



ციები და დიდად განაპირობეს მომდევნო წლებში მოვლენების განვითარება საქართველოში. აშკარა იყო, რომ ნანილობრივი, გაფანტული თავდასხმებითა და პარტიზანული მოქმედებით ქრთველი ხალხი ვერ მიაღწევდა თავის სანუკვარ მიზანს — კომუნისტების დამარცხებას, საქართველოდან რუსეთის ჯარის განდევნას და დამოუკიდებლობის აღდგენას. ამიტომაც 1922 წელს შეიქმნა არალეგალური „დამოუკიდებლობის კომიტეტი“, რომელიც საქართველოს ყველა არაკომუნისტური პარტიისა და ორგანიზაციის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. კომიტეტმა დანიშნა „სამხედრო ცენტრი“, რომელსაც საყოველთაო ეროვნული აჯანყების გეგმა უნდა შეემუშავებინა. რუსეთი კვლავ ბრძოლებში იყო ჩართული. კაზაკების მხარე, უკრაინა და თურქესტანი ბრძოლას განაგრძობდნენ და ქართველ პოლიტიკურ და სამხედრო ლიდერებს არ ეეჭვებოდათ, რომ აჯანყების წარმატებით დაგვირგვინება შესაძლებელი იყო. თუ რუსეთის საოკუპაციო ჯარებს მოსპობდნენ, ვიდრე მოსკოვი საპასუხო დარტყმებისათვის მოემზადებოდა, საქართველოს საკმარისი დრო ექნებოდა თავდაცვის ორგანიზებისათვის. გარდა ამისა, აშკარა იყო, რომ, თუ ქართველი ხალხის წინააღმდეგობა არ მიიღებდა ორგანიზებულ და მიზანდასახულ ხასიათს, ეროვნული ძალები დაიქსაქსებოდა და ამაო სისხლისღვრა, ადგილობრივი აჯანყებები და პარტიზანული მოქმედება სათანადო შედეგს არ გამოიღებდა. ქართველი ერი მზად იყო საბრძოლველად და ლიდერებს ხელმძღვანელობა უნდა გაენიათ ამ ბრძოლისათვის.

ამასობაში კომუნისტური რეჟიმის ტირანია სულ უფრო აუტანელი ხდებოდა, დაპატიმრება, გადასახლება, დახვრება ყოველდღიურ მოვლენად იქცა. ქართული პარტიზანული რაზმების წინააღმდეგ მოქმედების დროს რუსული ჯარი მიწასთან ასწორებდა სოფლებს და არ ინდობდა მოსახლეობას. ქართველებს ესაჭიროებოდათ ერთი ძლიერი საბრძოლო ორგანიზაცია, თუ არა და ყველას სათითაოდ ამოხოცავდნენ.

„სამხედრო ცენტრი“ დანიშვნისთანავე შეუდგა მზადებას საყოველთაო აჯანყებისათვის. ჩამოყალიბდა არალეგალური ჯგუფები, კავშირი დაამყარეს საბჭოთა ქართული არმიის ოფიცრებთან, იძენდნენ იარაღსა და ამუნიციას. „დამოუკიდებლობის ცენტრის“ მხარდასაჭერად გადასახლებაში მყოფი ქართული ეროვნული მთავრობის რამდენიმე წევრი ფარულად დაბრუნდა საქართველოში. ეს

ადამიანები შეგნებულად და ნებაყოფლობით მიდიოდნენ სასიკვდილო რისკზე; მართლაც, მოგვიანებით ყველანი კომუნისტებმა შეიპყრეს და დახვრიტეს.

1923 წლის დასაწყისში ქართველებმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. კომუნისტებმა დააპატიმრეს „სამხედრო ცენტრის“ თხუთმეტი წევრი. მათ შორის იყვნენ ეროვნული პრძოლის მთავარი თავკაცები: კონსტანტინე აბხაზი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი და ვარდენ წულუკიძე. 1923 წლის 20 მაისს ისინი დახვრიტეს. ამ პატრიოტების დაკარგვა მძიმე დარტყმა იყო, მაგრამ ამაო გამოდგა კომუნისტების იმედი, რომ ამით ქართველ ხალხს მოდრეკდნენ და საბჭოთა წყობილების მონა-მორჩილს გახდიდნენ. საყოველთაო აჯანყებისათვის მზადება არ შეწყვეტილა.

### 1924 წლის დიდი აჯანყება საქართველოში

აჯანყება 1924 წლის 29 აგვისტოსათვის დაინიშნა. შვიდიოდე დღით ადრე დამოუკიდებლობის კომიტეტი და აჯანყებულთა არმიის საერთო შტაბი შეიკრიბა შიომღვიმის მონასტერში, ისტორიულ სავანეში, სადაც ძველ დროს ქართველი მეფეები მოდიოდნენ ბრძოლის წინ სალოცავად და სამღვდელოებისაგან ლოცვა-კურთხევის მისაღებად.

დღემდე გაურკვეველია, როგორ მოხდა, რომ აჯანყება გეგმისამებრ ერთდროულად არ დაიწყო. მარგანეცის წარმოების ცენტრი დასავლეთ საქართველოში — ჭიათურა და მისი შემოგარენი — 29 აგვისტოს ნაცვლად წინა დღეს აჯანყდა. თავდაპირველად გამოსვლა წარმატებით ვითარდებოდა. დიდი ქალაქების გარდა, კომუნისტების წინააღმდეგობა უფრო სუსტი აღმოჩნდა, ვიდრე ვარაუდობდნენ. გაფანტული წითელი არმიისა და ჩეკას რაზმების ნაწილი დაამარცხეს. ან ტყვედ ჩაიგდეს. პირველ დღეებში საქართველოს ქალაქებისა და სოფლების ნახევარზე მეტი აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა. წითელი დროშები და საბჭოთა გერბები ჩამოყარეს და ქართული ეროვნული დროშები ააფრიალეს; იმ ეკლესიებში, რომლებიც კომუნისტებისაგან ვანადგურებას გადაურჩა, კვლავ აღდგა წირვა-ლოცვა და კვლავ გაისმა ზარების რეკვა. კომუნისტები ხელისუფალნი დააპატიმრეს. „დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ გამოსცა მკაცრი ბრძანება, არც ერთი დაპატიმრებული კომუნისტი არ დაეხვრიტათ. ისინი მოგვიანებით უნდა გაესამართლებინათ საქართველოს კანონებით.

პროვინციები უდავოდ აჯანყებულთა ხელში გადავიდა,



მაგრამ დიდ ქალაქებში და, განსაკუთრებით, თბილისში სხვაგვარი ვითარება იყო. თბილისზე თავდასხმა აჯანყებულთა ჯარის უდიდეს შენაერთს — პოლკოვნიკ ჩოლოყაშვილის რაზმს უნდა დაეწყო. მაგრამ ჭიათურაში დაწყებული ბრძოლით შეშფოთებულმა რუსმა სარდალმა მოგილევსკიმ (ამიერკავკასიის ჩეკას თავმჯდომარე) გაამაგრა ქალაქის ყველა სტრატეგიული მისადგომი. ამის გამო ჩოლოყაშვილმა ვერ შეძლო წინააღმდეგობის დაძლევა და ცოცხალი ძალის საკმაო დანაკლისის შემდეგ იძულებული გახდა უკან დაეხია. მოგილევსკი მოგვიანებით მეტად დრამატურად გამოესალმა სიცოცხლეს. ახალგაზრდა ქართველმა მფრინავმა სალარაძემ, რომელიც მოგილევსკის თვითმფრინავს მართავდა, თვითმფრინავი განზრახ დაანარცხა მიწას. თვითონაც დაიღუპა და თვითმფრინავში მსხდომი ოკუპანტებიც გაიყოლია.

ბრძოლის დაწყებისთანავე თბილისში სამხედრო წესები გამოცხადდა და კომუნისტებმა დაიწყეს მოსახლეობის მასობრივი დაპატიმრება. ციხეები ქართველებით აივსო და სასიკვდილო განაჩენებსაც არ დაუყოვნებია. 31 აგვისტოს კომუნისტები კონტრიერიშზე გადავიდნენ. ძნელია ზუსტი რიცხობრივი მონაცემების მოყვანა, მაგრამ ფიქრობენ, რომ ამ დროისათვის საბჭოების სამხედრო ძლიერება საქართველოში ასეთი იყო: 5 ქვეითი პოლკი, კავალერისტა 2 ბრიგადა, 1 საარტილერიო ბრიგადა, მეტყვიამფრქვევეთა 2 პოლკი, ჩეკას რაზმების 6 ბატალიონი, მილიციელთა 1 პოლკი, 1 საინჟინრო პოლკი, მესაზღვრეთა 2 ბატალიონი, სულ დაახლოებით 54 000 ჯარისკაცი. წითელ არმიას მეთაურობდა გენერალი პუგაჩოვი, რუსეთის საიმპერატორო გენერალური შტაბის ყოფილი პოლკოვნიკი. აჯანყების დღეს საქართველოსაკენ დამატებით დაიძრა 1 ქვეითი დივიზია აზერბაიჯანიდან, 1 ქვეითი დივიზია სომხეთიდან, 2 პოლკი შავიზღვისპირეთიდან, 3 პოლკი საქართველოს სამხედრო გზით დარიალის ხეობიდან, 3 პოლკი მამისონის უღელტეხილიდან ანუ 56 000 ჯარისკაცი; საბოლოო ანგარიშით — 110 000 კაცი. გარდა ამისა, ბათუმსა და სოხუმში შემოვიდნენ შავი ზღვის ფლოტის შენაერთები.

თუ გავითვალისწინებთ აჯანყებულთა წინააღმდეგ გამოყვანილ წითელარმიელთა რაოდენობას, არ არის გასაკვირი, რომ ქართველებმა, რომელთაც გარედან არავინ ეხმარებოდა, დიდხანს ვერ შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა. ძალები ერთობ უთანასწორო იყო. ბრძოლებმა დაახლოებით სამ კვირას გასტანა. წითელ არმიას როდი უღებინდა. ქართველმა მებრძოლებმა მრავალი წითელარმიელი თან

გაიყოლეს სამარეში. მაგრამ დასასრული წინასწარ იყო გადაწყვეტილი. უხეშმა და ბოროტმა ძალამ რიცხობრივი უპირატესობის წყალობით კვლავ იზეიმა გამარჯვება.

### აჯანყების მარცხი — სისხლის ზღვა

აჯანყება დამარცხდა და კომუნისტებმა სასტიკი შურისძიება დაიწყეს. საქართველოს მიწა სისხლით ირწყვებოდა. დედაბუდიანად სპობდნენ მთელ ოჯახებს, ძუძუმწოვარა ბავშვებსაც არ ინდობდნენ.

1954 წლის 13 ოქტომბერს არჩილ კეკელიამ კომიტეტის წინაშე დაიფიცა და განაცხადა:

„მართო ჩვენს პატარა სოფელში კომუნისტებმა 18 კაცი დახვრიტეს აჯანყებიდან ერთი კვირის შემდეგ. მათ შორის დახვრიტეს 15 წლის გოგონა და ორი ვაჟი — 16 და 17 წლისა“.

მის ჩვენებას ადასტურებს ბ-ნი ალექსანდრე ცომაია, რომელმაც კომიტეტს მოახსენა:

„მე მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ საქართველოში მხოლოდ ერთი აჯანყება არ ყოფილა. რამდენიმე აჯანყება იყო, მაგრამ ბოლოს საერთო სახალხო აჯანყებამ იფეთქა. მას თავდაპირველად წარმატება ხვდა წილად, მაგრამ ბოლოს მაინც ჩაახშვეს, ვინაიდან რუსებმა ქართველ აჯანყებულთა წინააღმდეგ უზარმაზარი ძალები გამოიყვანეს. როგორც კი აჯანყება ჩააქრეს, კომუნისტები საყოველთაო დევნაზე გადავიდნენ, აღარ დაეძებდნენ, აჯანყების აქტიურ მონაწილესთან ჰქონდათ საქმე, თუ არა. ცხადია, ზუსტი რიცხვის დადგენა ძნელია, მაგრამ აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, პირველ სამ დღეს, 7000-დან 10 000-მდე კაცი და ქალი დასაჯეს სიკვდილით და სულ ცოტა 2000 ციმაბირში გადაასახლეს.“

მინდა კიდევ ერთი რამ დავძინო: მე თან მაქვს ქართველი ერის წინააღმდეგ კომუნისტების მიერ ჩადენილ დანაშაულებათა სია. ეს სია კომუნისტებმა თავის დროზე ოფიციალურად გამოაქვეყნეს (დამალვაც არც უფიქრიათ) ქართულ პრესაში. მასში აღწერილია დასჯის ის მეთოდი, რომელიც გამოიყენეს ერთ-ერთ ქართულ სოფელში, სადაც მთლიანად ამოხოცეს ფანიამვილების გვარი — კაცები, ქალები და ბავშვები, თუ საჭიროა, მე გადმოგცემთ ამ მასალას“.

შეგვიძლია სხვა მრავალი ჩვენების დამოწმება, რომელთაგან ერთი დოკუმენტურად დასტურდება და ცხადყოფს კომუნისტების არაადამიანურობასა და გადაგვარებას: სოფელ რუისში კომუნისტებმა ამოხოცეს ყველა, ვინც კი ფანიამვილის გვარისა იყო.

ეს გამონაკლისი როდია, პირიქით, ტიპიური შემთხვევაა და ერთხელ კიდევ მეტყველებს კომუნისტების უზნეობაზე. ქალები და კაცები საავადმყოფოებიდან გაჰყავდათ დასახვრეტად; ხვრეტდნენ მოსწავლეებს, სტუდენტებს, მღვდლებს, იმ ადამიანებს, რომელთაც საერთო არაფერი ჰქონდათ აჯანყებასთან. გამოძიების, გასამართლებისა და

განაჩენის გარეშე ათასობით უიარაღო და უმწეო ქართველი მიჰყავდათ და სპობდნენ. საქართველოში არ არსებობს ოჯახი, რომლის ერთ წევრს მაინც არ შეეხებია ეს ანგარიშსწორება. რამდენიმე დღეში მოსპეს ქართველი ერის საუკეთესო წარმომადგენლები. ყველაზე ზომიერი ჩვენების თანახმად, 7000-დან 9000-მდე ქართველი დახვრიტეს, ხოლო 20 000 ციმბირში გადაასახლეს. ეს იყო ამ მასშტაბის პირველი, მაგრამ არა უკანასკნელი ხოცვა-ჟლეტა საქართველოში. მომდევნო ხანებში ათიათასობით ადამიანი მოუსპეს სიცოცხლე და ასიათასობით ადამიანი გადაასახლეს.

1924 წლის მარცხმა როდი დააჩოქა, სულიერად როდი დასცა ქართველი ხალხი. მაგრამ ამის შემდეგ (თუ მხედველობაში არ მივიღებთ შეიარაღებულ შეტაკებებს კოლექტივიზაციის დროს და 1942 წელს, როდესაც საქართველოს გერმანიის ჯარები უახლოვდებოდნენ) წინააღმდეგობამ არაღვგალური ხასიათი მიიღო. ქართველებისათვის ნათელი გახდა, რომ აშკარა აჯანყება შეიძლებოდა ქართველი ხალხის სრული მოსპობით დამთავრებულიყო.

### **კომუნისტური ტირანია საქართველოში**

დადგენილია და საყოველთაოდ ცნობილია, რომ მსოფლიოს ვერც ერთ ქვეყანაში ვერ შეძლებდა კომუნიზმი თავისი მმართველობის დაწესებას წითელი არმიისა და მოსკოვის მიერ საგანგებოდ გამოგზავნილი აგენტების ძირგამომთხრელი საქმიანობის გარეშე. იგივე ითქმის საქართველოზე, იმ ერთადერთი განსხვავებით, რომ აქ ძირგამომთხრელმა საქმიანობამ ვერ გამოიღო ნაყოფი და კომუნისტური რეჟიმი აშკარა აგრესიისა და ომის გზით დამყარდა.

### **რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება იყო, რომელიც საბჭოთა რუსეთმა დაარღვია**

როდესაც საქართველოში საბჭოთა რეჟიმი დამყარდა, კომუნისტებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დაპყრობილ ერებთან ურთიერთობის გამოცდილება. თავდაპირველად საერთოდ არ იცოდნენ, რა ექნათ და ამის გამო, საქართველოს ოკუპაციის პირველ თვეებში მათი დამოკიდებულება მოსახლეობისადმი საკმაოდ ზომიერი იყო. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა და მალე ტირანია, ტერორი და ჩაგვრა,

რაც მოგვიანებით სხვა ქვეყნებშიც დაამკვიდრეს, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ძარცვა, დაპატიმრება, გადასახლება, დახვრეტა, ქალების გაუპატიურება, ბავშვების გახრწნა, ყოველგვარი სიმხეცე — კომუნისტები არაფერს ერიდებოდნენ. კომუნისტებისათვის უცხოა მორალური პრინციპები და ზნეობრივი კოდექსი. მათთვის ყველაფერი ნებადართულია, თუკი ეს ხელს უწყობს მათ საბოლოო მიზანს — მსოფლიოს დაპყრობას და უნიტარული კომუნისტური სახელმწიფოს შექმნას.

საბჭოთა საქართველოს მთავრობის პირველი ნაბიჯი იყო მიწაზე, სახლებზე, მრეწველობაზე, შახტებზე, ბანკებზე და ა. შ. კერძო საკუთრების გაუქმება და კომუნისტურის გარდა ყველა სხვა პოლიტიკური პარტიის აკრძალვა. ადმინისტრაცია მთლიანად კომუნისტების ხელში გადავიდა. ზაგრამ, ვინაიდან თავდაპირველად სახელმწიფო მოხელეები საკმარისად არ ჰყავდათ, ძველი თანამშრომლები დაავალდებულეს ემსახურათ, ხოლო ზოგი იძულებული იყო დარჩენილიყო, ვინაიდან სხვა შემოსავალი არ გააჩნდა. თანდათან ისინი რეპრესირებულ იქნენ და მათი ადგილები კომუნისტებმა დაიკავეს.

### განათლება

ოკუპაციის პირველი დღიდანვე უმძლავრესი პროპაგანდა გაჩაღდა ქართველების, განსაკუთრებით ქართველი ახალგაზრდობის გასაკომუნისტებლად. კომუნისტურ აღზრდას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. ლენინის, სტალინისა და სხვა ლიდერების მითითებათა შესრულება სავალდებულოა. ბოლო არ უჩანს ამგვარ ლოზუნგებსა და მოწოდებებს: „მასწავლებლებო და განათლების მუშაკებო! აღზარდეთ ახალგაზრდობა საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, საბჭოთა საზოგადოების, კომუნიზმის აქტიურ მებრძოლებად!“; „ჩვენი ახალგაზრდობა უნდა დაეუფლოს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას, განიმსჭვალოს ბოლშევიკური პარტიის მიზანდასახულობათა სულისკვეთებით!“; „პროფესორ-მასწავლებლებო, განათლების მუშაკებო! საფუძვლიანად დაეუფლეთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას!“; „აღზარდოთ ხალხთა მასები კომუნისტური სულისკვეთებით!“; „ახალი თაობების კომუნისტური იდეებით აღზრდა განათლების მუშაკთა უპირველესი მოვალეობაა. აღზარდოთ კომუნიზმის მშენებელი ახალგაზრდობა!“; „ლენინურ-სტალინური იდეოლოგია კაპიტალისტური სისტემის მესაფლავეა!“

კომუნისტური პროპაგანდა ზუსტად ხელმძღვანელობს ლენინის მითითებით: „საზოგადოებრივ მოვლენათა სირთულის გამო ყოველთვის შეგვიძლია შევარჩიოთ ისეთი მაგალითები და მონაცემები, რომლებითაც რაც მოგვესურება, იმას დავამტკიცებთ“.

საქართველოს დაპყრობიდან ცოტა ხნის შემდეგ, კომუნისტებმა ჩაატარეს ე. წ. „სასკოლო რეფორმა“. დახურეს ყველა გიმნაზია, როგორც „ბურჟუაზიულობის“ გამოვლინება, და გახსნეს ე. წ. შრომითი სკოლები. მთლიანად შეიცვალა სასწავლო პროგრამა. ერთხანს აიკრძალა საქართველოს ისტორიის სწავლება და მის ნაცვლად შემოიღეს ე. წ. „კლასობრივი ბრძოლის“ ისტორია. პრიორიტეტი მიანიჭეს მარქსისტული იდეოლოგიის სწავლებას. დიდად გაიზარდა რუსული ენის სწავლებისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობა, ხოლო დასავლეთ ევროპის ენების, ლათინურისა და ბერძნულის სწავლება ან მინიმუმამდე დაიყვანეს, ან საერთოდ გააუქმეს. შეიქმნა ქართული ლიტერატურის ახალი სახელმძღვანელოები, რომლებშიც არ არის შეტანილი ქართველი კლასიკოსი მწერლების ცალკეული ნაწარმოებები და სამაგიეროდ წარმოდგენილია კომუნისტ მწერალთა თხზულებები.

მოხდა სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული რეორგანიზაცია. ზოგიერთი ფაკულტეტი საერთოდ გააუქმეს, შეიცვალა სასწავლო პროგრამები. გაჩნდა ახალი „სამეცნიერო დისციპლინები“: „საბჭოთა პედაგოგიკა“, „საბჭოთა სამართალი“, „საბჭოთა ფინანსები და ეკონომიკა“, ბოლოს — „საკოლმეურნეო ფაკულტეტი“ და ა. შ. დაითხოვეს მრავალი პროფესორი, ზოგი დააპატიმრეს, გადაასახლეს ან დახვრიტეს; მათი ადგილი უვიცებმა დაიკავეს მხოლოდ იმ ნიშნით, რომ ისინი გამოცდილი კომუნისტები იყვნენ. როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ბოლო მოელო აკადემიურ თავისუფლებას. ყველაფერი მოსკოვის მითითების თანახმად უნდა ისწავლებოდეს და მოსკოვში შემუშავებული გეზის ნებისმიერი შეცვლა უნდა გათვალისწინებულ იქნეს. ისტორია, პოლიტიკური მეცნიერების დარგები, ეკონომიკა და ა. შ. ყოველივე ეს კომუნისტური იდეოლოგიის შესაბამისად უნდა იწერებოდეს. ამან განსაკუთრებული ზიანი მიაყენა ისტორიის შესწავლას. ხდება ისტორიული ფაქტების სისტემატური დამახინჯება. ის მეცნიერიც კი, რომელიც აღიარებული კომუნისტური თვალსაზრისით ხელმძღვანელობს, თავს საფრთხეში იგდებს, ვინაიდან ოფიციალური კურსი შესაძლოა შეიცვალოს და მაშინ მას „გადა-

ხრასა“ და „ლაღატს“ დააბრალებენ. შორს წაგვიყვანდა იმ ქართველ მეცნიერთა ჩამოთვლა, რომლებიც კომუნისტებმა დახვრიტეს ან რომლებიც ციხეებსა და კოლონიებში გარდაიცვალნენ. მათ შორის არიან ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები და მსოფლიო სახელის შქონე მეცნიერები.

## პრესა

როგორც კი კომუნისტებმა ძალაუფლება ხელთ იგდეს, მაშინვე ბოლო მოუღეს პრესის თავისუფლებას, არ დატოვეს არც ერთი ოპოზიციური გაზეთი, ჟურნალი თუ გამოცემა. კომუნისტებმა თბილისში ორი გაზეთი დააარსეს: „კომუნისტი“ (საქართველოს კომპარტიის ცეკას ორგანო) — ქართულად და „ზარია ვოსტოკა“ — რუსულად. ორივე გაზეთი წარმოადგენს „პრავდისა“ და „იზვესტიის“ ერთგვარ ასლს, რომელსაც ემატება ადგილობრივ საკითხებთან დაკავშირებული მასალა. არის სხვა ჟურნალ-გაზეთები და სხვა ტიპის გამოცემები, მაგრამ ყველა მათგანი კომუნისტურია და მხოლოდ კომუნისტურ პროპაგანდას ემსახურება.

## ოჯახი

იმ სოციალურ ინსტიტუტთა შორის, რომლებიც კომუნისტებმა საქართველოში სახიფათოდ ჩათვალეს და შეტევის ობიექტად აქციეს, აღმოჩნდა „ოჯახი“ იმ სახით, როგორითაც ქრისტიანულ სამყაროში საუკუნეების მანძილზე არსებობდა. საქართველოში, შესაძლოა უფრო მეტად, ვიდრე სადმე აღმოსავლეთ ევროპაში, ოჯახს განსაკუთრებულ პატივს სცემენ. ქართველები ცნობილი არიან ქალის კულტითა და პატივისცემით, დიდ პატივს სცემენ აგრეთვე უფროსებს. იმის გამო, რომ ქართველების უფროსი თაობა მთლიანად ანტიკომუნისტურად იყო განწყობილი, კომუნისტები ყველანაირად ცდილობენ შეასუსტონ მშობლების როლი ბავშვების აღზრდაში. ყოველ ქართველ ბავშვს აღმზრდელად ოჯახის ნაცვლად კომკავშირი მოეწვინა. კომუნისტები თვითონ აღიარებენ, რომ ეს მასობრივი ორგანიზაცია მიზნად ისახავს ახალგაზრდობის აღზრდას კომუნისტური სულისკვეთებით. ადგილობრივი კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას პარტიული ორგანიზაციები წარმართავენ და აკონტროლებენ. მთელი ეს საქმიანობა მიმართულია იქითკენ, რომ ახალგაზრდობა კომუნისტური

იდეალებით, კომუნისტური სამშობლოსათვის თავდადების იდეით განიმსჭვალოს. ქართველ ბავშვებს იმ შეგნებით ზრდიან, რომ ისინი პასუხისმგებელნი არიან სახელმწიფოს წინაშე, რომ უნდა უთვალთვალონ თავიანთ მშობლებს და დაასმინონ ისინი, თუ მიიჩნევენ, რომ მშობელი „ანტისოციალურად“ ანუ ანტიკომუნისტურად არის განწყობილი. პოეტებს ევალებათ წერონ ისეთი სტრიქონები, როგორცაა „დავახრჩობ დედას, დავახრჩობ მამას, რევოლუცია თუ მომთხოვს ამას!“ როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. ტოროშელიძე დახვრიტეს, მისმა ქალიშვილმა უარყო მშობელი და მხარი დაუჭირა მის დასჯას. ეს არ გახლავთ ცალკეული შემთხვევა. საუბედუროდ, ვერაგული კომუნისტური პროპაგანდა ძირს უთხრის ოჯახს — ცივილიზაციის მთავარ საფუძველს.

### ლიტერატურა

ქართველი ერი ყოველთვის სამართლიანად ამაყობდა თავისი დიდი ლიტერატურით.

როგორც კი საქართველო წითელმა არმიამ დაიპყრო, კომუნისტურმა პარტიამ გამოსცა დადგენილება, რომლის თანახმადაც ამიერიდან მწერლებმა რევოლუცია და საბჭოთა რეჟიმი უნდა განადიდონ. მწერლებს ორად ორი არჩევანი დარჩათ: ან უნდა დაგმონ ძველი გზა და ქება-დიდება შეასხან იმას, რაც ეწინააღმდეგება მათ მრწამსსა და შეხედულებებს, ან საერთოდ აღარ უნდა წერონ.

მაღე ცხადი გახდა, რომ უბრალო თანამშრომლობა არ იყო საკმარისი; მოსკოვს კომუნისტური იდეების აქტიური პროპაგანდისტები სჭირდებოდა. დადგა დრო, როდესაც დაიწყო ქართველი მწერლების დაპატიმრება და გადასახლება. 1932 წლის 23 აპრილს მოსკოვის პოლიტიბიურომ დაადგინა, ხოლო ქართველი პროლეტარული მწერლების კავშირის თავმჯდომარე გულმოდგინედ იმეორებდა, რომ „ამიერიდან კომუნისტური პარტია აღარ მოითმენს რაიმე ოპოზიციასა და გადახრას“.

მრავალი ქართველი მწერალი იმსხვერპლა დაუმორჩილებლობამ. მხოლოდ ისინი გადაარჩნენ, ვინც ვერ გაუძლო ზენოლას და კომუნისტურ ტირანიას დაემორჩილა. ამიტომაც არის, რომ თავის დროზე მდიდარი ქართული ლიტერატურა დღეს არ გამოირჩევა დიდი შემოქმედებითი მიღწევებით. არც თეატრსა და ხელოვნებას დასდგომია უკეთესი დღე. დრამატურგია და მუსიკაც კი იძულებულია

მოსკოვში დადგენილი პრინციპებით იხელმძღვანელოს. სტალინის თანახმად, მუსიკაც ხელოვნების საერთო კანონებით ანუ მარქსიზმ-ლენინიზმის ესთეტიკური პრინციპებისა და პარტიის კონტროლის შესაბამისად უნდა ვითარდებოდეს.

## რელიგიის ღვინა საქართველოში

ოკუპაციისთანავე კომუნისტები შეუდგნენ ეკლესიების რბევას და ქართველი ხალხის რელიგიური მრწამსის აღმოფხვრას. პირველი ნაბიჯი იყო საეკლესიო ქონების კონფისკაცია. ეკლესიების დიდი ნაწილი ან საერთოდ აღგავეს პირისაგან მიწისა, ანდა სახელმწიფო და პარტიულ დაწესებულებათა შენობებად, კლუბებად, საწყობებად და თვით ფარეხებადაც კი აქციეს. ასეთი ხვედრი ხვდა წილად ქართველისათვის სათაყვანებელ მრავალ ძველ სამლოცველოს, კათედრალსა თუ ეკლესია-მონასტერს, მათ შორის ჯვრის მონასტერს, კათედრალებს თბილისში, ნიკორწმინდაში, ბედიასში, მოქვსა და ჯუმათში (რომელსაც ჯვრის ნაცვლად ლენინის ბიუსტი დაადგეს) და სხვ. გაზიდეს ჯვრები, ზარები, შანდლები, ხატები და სხვა საეკლესიო ინვენტარი. ნაწილი მუზეუმებს გადასცეს, მაგრამ უმეტესობა საბჭოთა რუსეთში გაიტანეს. გაიტაცეს ძვირფასი თვლები, ხოლო ოქროს და ვერცხლის ნაკეთობები გადაადნეს.

ოკუპაციისთანავე შეიქმნა „მებრძოლ ათეისტთა საბჭო“, რომელსაც მიეცა დიდძალი ფულადი ფონდი, შენობები, პრესა და ა. შ. და დაევალა ანტირელიგიური პროპაგანდა, ლენინის მიერ ჯერ კიდევ 1905 წელს ნათქვამი სიტყვების თანახმად:

„რელიგია ხალხის ოპიუმია. რელიგია არის ერთგვარი სულიერი არაყი, რომლითაც კაპიტალის მონები კარგავენ ადამიანურ სახესა და ღირსების გრძობას“.

კომუნისტების შემოსვლამდე საქართველოში მრავალი ათასი ეკლესია იყო, ოკუპაციიდან ერთი წლის შემდეგ, 1922 წელს კი კათოლიკოსი ამბროსი ჩიოდა, რომ საქართველოში მხოლოდ 1500 ეკლესია მოქმედებდა. 1951 წელს კათოლიკოსმა კალისტრატემ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტთან ჰარისონ ე. სეილსბერისთან საუბრისას თბილისში აღნიშნა, მხოლოდ ასი ეკლესია დაგვრჩაო. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, აქედანაც ნათელია, რა უყვეს კომუნისტებმა ქართულ ეკლესიას.

იდევნება რელიგიური წეს-ჩვეულებები. აკრძალულია ბავშვების მონათვლა ანდა საეკლესიო ჯვრისწერა (ამ მხრივ



მეტი შეღავათები იყო მეორე მსოფლიო ომის დროს). თუ როგორ შეხვდა ქართველი ხალხი ამ აკრძალვებს, ეს ჩანს მღვდლის შვილის ვალერიან სანგულიას მიერ 1954 წლის 15 ოქტომბერს ჩვენდამი ფიცით მოცემული ჩვენებიდან:

„მინდა აღვნიშნო, რომ კომუნისტები არა მხოლოდ სამღვდლოებას დევნიდნენ. არამედ პრაქტიკულად მათ ყველა ეკლესია-მონასტერი გააჩანაგეს. მოგეხსენებათ, ქართული ეკლესია IV საუკუნიდან იღებს სათავეს. იმ დროიდან მოყოლებული ქართველ ხალხს არ უღალატია თავისი რწმენისათვის, მთელი საქართველო მოფენილი იყო ტაძრებით, მონასტრებითა და ეკლესიებით.

დაიპყრეს თუ არა საქართველო, კომუნისტებმა იერიში მიიტანეს ეკლესიებზე. ზოგი მათგანი მთლიანად დაანგრის, მაგალითად, კათედრალური ტაძარი თბილისში, ხოლო ზოგი კლუბებად ან თავლებად აქციეს და ყოველნაირად შებლაღეს.

მე ვარ იმის მომხრე, რომ ერთ ცნობილ და ძალიან ძველ ეკლესიას ჯვარი მოხსნეს და ზედ ლენინის ქანდაკება დაადგეს; დიახ, ლენინის ბიუსტი ჯვრის ნაცვლად.

ადრე მრავალი ათასი ეკლესია იყო, 1922 წელს — მხოლოდ 1500. ეს ფაქტი აღნიშნულია კათალიკოს ამბროსის მიერ საზღვარგარეთ გაგზავნილ მემორანდუმში.

კომუნისტებმა არა მხოლოდ დაანგრის და შემუსრეს ეკლესიები, არამედ გაძარცვეს ისინი ყოველგვარი განძეულობისაგან, რაც იქ საუკუნეების მანძილზე იხაზებოდა. ქართველები ღრმად მორწმუნე ხალხია. ქართველი მეფეები, დიდებულები და უბრალო ხალხი ათასგვარ ძვირფას ნივთს სწირავდნენ ეკლესიას. კომუნისტებმა დააცარიელეს ეკლესიები და მთელი განძეულობა რუსეთში გაგზავნეს.

ერთი მაგალითი: დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მონასტრიდან გაიტანეს დიდად ცნობილ ქართველ მეფესთან დაკავშირებული განძეულობა. ამის გამო პროტესტი გაეგზავნა საქართველოს მთავრობას და ითხოვდნენ წაღებული ნივთების დაბრუნებას. მათ ცინიკურად განუცხადეს, რომ განძეულობა მოსკოვშია გაგზავნილი სარესტავრაციოდ. ამის შემდეგ ეს განძეულობა აღარავის უნახავს.

ტერორისა და დევნის მიუხედავად, კომუნისტებმა ვერ შეძლეს ქართველ ხალხში რელიგიური გრძნობის მოსპობა. ბევრჯერ ვყოფილვარ იმის მოწმე არა მხოლოდ ჩემს მშობლიურ სოფელში, არამედ სხვაგანაც, როდესაც საიდუმლოდ მოსულან მამაჩემთან და ბავშვის მონათვლა ან სხვა რელიგიური წესის აღსრულება უთხოვიათ. ასეთ შემთხვევაში ყველა კარს და ფანჯარას ვკეტავდით, გარეთ მეთვალყურეს ვტოვებდით, რომ კომუნისტს ან ინფორმატორს არაფერი გაეგო. მაგრამ მამაჩემს განსაკუთრებით უჭირდა, როდესაც ზიარებისათვის იძახებდნენ. დღისით ნახვლა სახიფათო იყო, ამიტომ ღამეს ამჯობინებდა. მასსოვს ასეთი შემთხვევა: ადგილობრივი დიდი თანამდებობის პირის, კაპიტან თორის ცოლი ქმრისაგან უჩუმრად მივიდა ბავშვის მოსანათლად. მაგრამ მოგვიანებით ეს ფაქტი გამჟღავნდა და ცოლიც და ქმარიც დააპატიმრეს. ქმარი გაანთავისუფლეს თანამდებობიდან, გარიცხეს პარტიიდან და სადღაც გააქრეს“.

ოკუპაციის პირველი დღიდანვე დაიწყო სამღვდლოების დევნა. ათასობით ქართველი მღვდელი, ბერი და მონაზონი დააპატიმრეს, გადაასახლეს, აწამეს და დახვრიტეს. აი, რას გვიამბობს ამის შესახებ ვალერიან სანგულია:

„კომუნისტები მოვიდოდნენ რომელიმე სოფელში და ხალხს უბრძანებდნენ შეკრებილიყვნენ მოედანზე ან საფიხვნოზე (ვაი იმას, ვინც არ მოვიდოდა). შემდეგ ხალხს მიმართავდნენ პროპაგანდისტები და რელიგიას აძაგებდნენ. ყოველთვის ერთსა და იმავეს ამბობდნენ: „რელიგია რიპიუშია, სანამლაგია; იგი ხალხის დასამონებლად არის მოგონილი ექსპლუატატორებისა და მდიდრების მიერ; იმქვეყნური სიკეთის აღთქმით იმორჩილებენ ღარიბებსა და უპოვართ; მჩაგვრელები ეუბნებიან ხალხს, რაც უფრო მეტად გაიტანჯებით ამქვეყნად, მით უფრო ნეტარნი იქნებით იმ სოფლად; ეკლესია იმპერიალისტებსა და მდიდრებს ემსახურება, ყველა მღვდელი ხალხის მტერია. ამიტომ არის, რომ ჩვენ, კომუნისტები, ხალხის ინტერესების ჭეშმარიტი დამცველნი, ვებრძვით ეკლესიასა და სამღვდლოებას. გაუხნორდით თქვენს მოლაპატენებსა და უსასტიკეს მტრებს“ და ა. შ. ამის შემდეგ მათი აგენტები იწყებდნენ ყვირილს: „მღვდელი, მღვდელი, მოლაპატე მოვიყვანოთ აქ!“ მიდიოდა 10-15 აგენტი და მოათრევდა მღვდელს შეკრების ადგილას. ხელბეჭერულს ყელზე თოკი ჰქონდა გამობმული. კომუნისტები დაუნდობლად ურტამდნენ მუშტებსა და ნიხლებს, სამოსელს შემოახვედნენ, წმინდა ჯვარს ჩამოგლეჯდნენ, ტალახში ათრევდნენ და წვერს გაპარსავდნენ.

ძალით თავმოყრილი ხალხი გარინდებული იდგა. ადრე ზოგი ცდილობდა გამოჰქომაგებოდა და მიშველებოდა უმწეო მსხვერპლს, მაგრამ ასეთებს ადგილზე კლავდნენ და ამის შემდეგ ხმას არავინ იღებდა. ზოგჯერ დედაბრები თუ წამოიტირებდნენ სასონარკვეთილებისა და სიბრაღეულისაგან.

იგივე ხვედრი ერგო მამაჩემს და ბევრ სხვა მღვდელს. როდესაც მამაჩემი სახლიდან გაათრიეს, საბრალო დედაჩემი თან გაჰყვა და მეც თან წამიყვანა. პატარა ვიყავი, მაგრამ ყველაფერი მახსოვს. მახსოვს აგრეთვე, მამაჩემს ერთი მეგობარი ჰყავდა, — ისიც მღვდელი იყო — მ. ხარებავა. კომუნისტებმა იგი სასიკვდილოდ სცემეს, ხოლო შემდეგ წვერზე ცეცხლი წაუკიდეს. რამდენადაც ვიცი, ეს არ არის ერთელი შემთხვევა. ყოველთვის, როდესაც კომუნისტები სცემდნენ და აწამებდნენ მღვდლებს, ხითხითით ვკითხებოდნენ: „სად არის თქვენი ღმერთი ახლა? რატომ არ გეხმარებათ?“.

კომუნისტები ყველაფერს აკეთებდნენ ხალხში რელიგიური გრძნობის დასათრგუნავად და მათ გამოსავლენად, ვინც კვლავ იცავდა რელიგიურ წეს-ჩვეულებებს. ვალერიან სანგულია განაგრძობს:

„მახსოვს, შობის, აღდგომისა და სხვა რელიგიური დღესასწაულების დროს სკოლაში კომუნისტები მოდიოდნენ და მოსწავლეებს გვეკითხებოდნენ, რა კერძები გექონდა შინ იმ დღეს. შავ დღეს დააყრიდნენ იჯახს, თუ ბავშვი იტყოდა, რომ სადღესასწაულოდ ჰქონდათ რაიმე მომზადებული. აღდგომის მეორე დღეს კომუნისტების შვილებს ხელს უსინჯავდნენ და ვაი მას, ვისაც თითები წითლად, ლურჯად ან სხვა ფერად ჰქონდა შეღებილი. ეს იმას ნიშნავდა, რომ სააღდგომოდ კვერცხები შეეღებათ. ასეთი ბავშვების მშობლებს სასტიკად სჯიდნენ, ჩვეულებრივ — გადასახლებით“.

მაგრამ ამ სასტიკმა დევნამ სულიერად მაინც ვერ გაიტეხა ქართველი სამღვდლოება; მან მრავალ განსაცდელს გაუძლო და ეკლესიის ისტორიაში იშვიათი სიმტკიცე გამოამჟღავნა. სხვათა შორის, როდესაც წითელმა არმიამ სა-

ქართველო დაიპყრო, ვისაც კი შეეძლო, თავს შველოდა, უცხოეთს მიეშურებოდა, მაგრამ არც ერთ სასულიერო პირს საქართველო არ დაუტოვებია. ისინი მრევლთან დარჩენასა და მისი ხვედრის გაზიარებას ამჯობინებდნენ. მათ შორის იყო კათოლიკოსი ლეონიდე. იგი 1921 წელსვე გარდაიცვალა და მისი ადგილი ამბროსიმ დაიკავა. 1922 წლის თებერვალში კათოლიკოსმა ამბროსიმ გენუის კონფერენციას გაუგზავნა მემორანდუმი, რომელშიც აღწერა ქართველთა მძიმე მდგომარეობა წითელი არმიის მიერ ქვეყნის დაპყრობის დღიდან და დახმარებისთვის მიმართა ცივილიზებულ მსოფლიოს. ამ მიმართვის გამოქვეყნებისთანავე კომუნისტებმა კათოლიკოსი დააპატიმრეს და ერთი წელი ციხეში ამყოფეს. როდესაც ჩათვალეს, რომ ამბროსი სულიერად მოტეხილი იქნებოდა, საჯარო გასამართლების, ინსცენირება მოაწყვეს. მაგრამ ამბროსი არ შემდრკალა. ქართული ეკლესიის დასწრეებულმა და დაუძღვრებულმა ნეტარმა მამამთავარმა ისეთი სულიერი სიმტკიცე და ნებისყოფა გამოიჩინა, რომ მისი სასამართლო პროცესი ქართული ეკლესიისა და ქართველი ერის დიდ სულიერ გამარჯვებად იქცა. საბოლოო სიტყვაში მან თქვა:

„სული ჩემი უფალს ეკუთვნის, ჩემი გული — სამშობლოს, ხოლო ჩემს სხეულს, ჯალათებო, რაც გნებავთ, ის უყავით“.

კომუნისტებმა ვერ გაბედეს ამბროსის სიკვდილით დასჯა, მაგრამ ეს კეთილშობილი და დიდი ადამიანი სულ მალე გარდაიცვალა ციხეში. ქართული ეკლესიის კიდევ ერთი მღვდელმთავართაგანი — ქუთათელი ეპისკოპოსი ნაზარი კომუნისტებმა გაუსამართლებლად მოკლეს.

ქართველი ერი სამართლიანად ამაყოფს თავისი ეკლესიითა და სამღვდელოებით და მოელის იმ დღეს, როდესაც ქრისტეს რჯულის აღმსარებლობა აღარ იქნება დაკავშირებული შიშთან და დევნასთან.

### **როგორ აპყრობიან კომუნისტები პატიმრებს?**

კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ისეთი სისტემა ან რეჟიმი, რომელიც ისე უკიდურესად არაადამიანურად მოქმედებდეს თავის მოქალაქეებს, როგორც ეს საბჭოთა კომუნისტური რეჟიმისათვის არის დამახასიათებელი. ეს შეუძლია დაგვიდასტუროს ასეულ ათასობით მოწმეს. ჩვენ მოგვყავს მონაცემი მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი ქართველისა, რომელიც სრულიად უმიზეზოდ დააპატიმრეს. მან მრავალი ტანჯვა და დამცირება, ცემა და შიმშილი გამოი-

არა და 6 წელი საბჭოთა რუსეთის მონური შრომის კოლო-  
ნიაში დაჰყო. 1954 წლის 13 ოქტომბერს არჩილ კვეციანი  
დაიფიცა, რომ სიმართლეს იტყოდა და შემდეგი გვიამბო:

„1929 წელს, როდესაც უნივერსიტეტში სახელმწიფო გამოცდებისათ-  
ვის ვემზადებოდი, მოულოდნელად სრულიად უმიზეზოდ დამაპატიმრეს  
და გეპეუში (საიდუმლო პოლიციაში) წამიყვანეს, სადაც განმიცხადეს,  
რომ მე ვარ ხალხის მტერი, ვენოდი კონტრრევოლუციურ საქმიანობას,  
რომ ჯერ კიდევ 1924 წლის აჯანყების დროს ვიყავი დაპატიმრებული,  
მაგრამ მოვახერხე გაქცევა. გამომძიებელმა მიჩვენა გამზადებული დო-  
კუმენტი, რომელშიც ეწერა, რომ მე ვენოდი ანტისაბჭოთა პროპაგან-  
დასა და აგიტაციას, რასაც მოსდევს სისხლის სამართლის კოდექსის  
ნმ-ე მუხლის X და XI პუნქტებით გათვალისწინებული სასჯელი. მიბრ-  
ძანეს, ხელი მომწერა ამ დოკუმენტისათვის. როდესაც უარი განვაც-  
ხადე, ციხეში გადამიყვანეს. გეპეუს ყველა თანამშრომელი, გამომძიებ-  
ლები, აგენტები და ზედამხედველები, ვისაც კი მე შევხვედრივარ, რუ-  
სები იყვნენ. საკანი, რომელშიც მე შემიყვანეს, სიგრძეში ოთხი ნაბიჯი  
იქნებოდა, ხოლო სიგანეში — ორი. იქ 13 პატიმარი დამხვდა. ივლისი  
იყო და ძალიან ცხელოდა. საკანში გაძლება არ შეიძლებოდა. ბალღინ-  
ჯოებისაგან საშველი არ ჩანდა, ხოლო ლამით არც ვიკრთებდი გვასვენ-  
ებდნენ. საპირფარეოში დღეში მხოლოდ ერთხელ გაცყავდით, დილა-  
ობით 5 წუთით. მთელი დღისათვის კი კასრი იდგა საკანშივე. ერთი  
კასრი 14 კაცზე“.

კვეციანი ერთხანს საკანში ამყოფეს. შემდეგ კვლავ და-  
საკითხად გაიყვანეს. ისევ უბრძანეს ხელი მოეწერა თავისი  
„აღიარებისათვის“, მაგრამ მან ამჯერადაც უარი განაც-  
ხადა. იგი სცემეს და მისი სიტყვებით:

„...შემადგეს „კარცერში“. ეს იყო მრგვალი სორო, რომლის დიამეტ-  
რი ერთ მეტრსაც არ აღემატებოდა. ასე რომ, ნაბიჯის გადადგმაც არ  
შემძლო. კედელზე წყალი მოჟონავდა და იატაკი დაფარული იყო ჩე-  
მამად იქ მყოფთა განაღლით. პირი კედლის ჭურჭულტანაზე მქონდა მი-  
დებული და ასე ვითქვამდი სულს. ამ საშინელებაში 4 თუ 5 დღე დაე-  
ყავი. საჭმელი ერთხელაც არ მოუციათ. მხოლოდ ცოტაოდენ წყალს მა-  
ძლევდნენ“.

ცოტა ხნის შემდეგ კვეციანი თბილისის მეტეხის ციხეში  
გადაიყვანეს. აქ შედარებით უკეთესი პირობები იყო. მისი  
ციქმით,

„...აქ იყვნენ როგორც პოლიტიკური პატიმრები ისე ჩვეულებრივი  
ბოროტმოქმედნი. ჩემს იქ ყოფნისას დაახლოებით 600 პოლიტიკური  
პატიმარი იყო, ყველა — ქართველი. ყოველდღე 150-200 მათგანი დასახე-  
რებულ ან ციმბირში გასაგზავნად გაჰყავდათ, ხოლო მათ ნაცვლად ახ-  
ლები მოჰყავდათ. ასე რომ, იქ ყოველთვის იყო სულ ცოტა 600 პოლი-  
ტიკური პატიმარი“.

ამდენი ცემისაგან კვეციანს სხეული იარებითა და  
წყლულებით დაეფარა, მაგრამ მაინც არ მკურნალობდნენ.  
ბოლოს, როგორც იქნა, ციხის საავადმყოფოში გადაიყვა-  
ნეს. იგი გვიამბობს:

„ამ საავადმყოფოში ჩემი კარგი მეგობარი — ვ. კ. დამხვდა. ისიც  
ჩემს ფაულტეტზე სწავლობდა. დაუპატიმრებიათ თუ არა, ისიც სას-“

ტიკად უცემიათ, ყვერები გაუსრესიათ მისთვის, შემდეგ ოპერაცია გაუკეთებიათ და ამოუჭრიათ. გარდა ამისა, მარჯვენა ყურს უკან საფეთქელი ჩატეხილი ჰქონდა. ერთ რუს ზედამხედველს ნალიანი ფესხაცემელი ჩაურტყამს.\*\*\* ერთი ქართველი მღვდელი მოიყვანეს. ცემისაგან თირკმლები ჰქონდა დაზიანებული. რამდენიმე დღეში გარდაიცვალა“.

1929 წლის სექტემბერში კეკელიას გაუსამართლებლად გამოუცხადეს, სამი წლით ციმბირში გადასახლება მოგესაჯაო. 10 დეკემბერს 82 სხვა ქართველთან ერთად საქონლის ვაგონში შეაგდეს. ჯერ მოსკოვის გზას გაუყენეს, რამდენიმე დღე იქ ამყოფეს ციხეში, მერე ნოვოსიბირსკში გაგზავნეს, იქიდან — ბარნაულში, და ბოლოს — ბიისკში. გზაში პატიმრებს აშიმშილებდნენ, ზედამხედველები უხეშად ექცეოდნენ. კეკელია ამბობს:

„ბარნაულის ციხეში საქმელი განსაკუთრებით ცუდი იყო: 150 გრამი პური და გულისამრევი თევზის ნახარში. ზოგჯერ შვრიის ფაფასაც გვაძლევდნენ. პატიმრებს სასტიკად გვეპყრობოდნენ. ზედამხედველები პატარა მიზეზის გამოც კი მუშტა და ნიხლებს გვირტყამდნენ“.

ბიისკში კეკელიას ბედმა გაულიმა — „თავისუფალი პატიმრის“ სტატუსი მისცეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ უფლება ჰქონდა ბანაკის გარეთ ეცხოვრა და ემუშავა, მაგრამ კვირაში ორჯერ მილიციის განყოფილებაში უნდა გამოცხადებულიყო და ბიისკიდან არ უნდა გასულიყო. სამუშაოდ სადურგლოში გაამწესეს. 12-საათიანი სამუშაო დღე იყო; მუშაობის პირობები — აუტანელი. შემდეგ ფესხაცემლის ფაბრიკაში მოახერხა გადასვლა, მაგრამ არც იქ იყო უკეთეს დღეში. პატიმრებს დალამებამდე ამუშავებდნენ; თვეში მხოლოდ 6 მანეთს და 20 კაპიკს უხდიდნენ (ანუ 1 დოლარს და 60 ცენტს ოფიციალური კურსით, სინამდვილეში კი — ნაკლებს). ფაბრიკაში სისტემატურად მუშაობდა 500 კაცი, ყოველდღიურად კვდებოდა 5-10 პატიმარი.

1932 წელს კეკელიას გაათავისუფლება უნევდა, მაგრამ კიდევ დაუმატეს სამი წელი. ამჯერად უფლება მისცეს ეცხოვრა რუსეთის ერთ-ერთ ცენტრალურ პროვინციაში, მაგრამ ეკრძალებოდა საქართველოში დაბრუნება ან სადმე კავკასიაში, უკრაინაში, ბელორუსიაში, მოსკოვისა და ლენინგრადის ოლქებში, ყირიმში ცხოვრება.

კეკელია ტამბოვში წავიდა, მაგრამ ჩავიდა თუ არა, დააპატიმრეს და ვორონეჟის ციხეში წაიყვანეს. აქ მან გამოაცხადა შიმშილობა, რომლის 24-ე დღეს გაათავისუფლეს და ვორონეჟიდან 60 მილზე სოფელ მუჩკაფში გაგზავნეს საცხოვრებლად. იქ მან ორწელიწადნახევარი გაატარა.

„იმ ზაფხულს, (—გვიამბობს კეკელია, —) საშინელი შიმშილობა იყო. რუსი გლეხები შიმშილით იხოცებოდნენ, მაგრამ კომუნისტური მილიცია და გეპუ უკანასკნელ ლუკმასაც ართმევდნენ.“\*\*\* ვიდრე იქ ვიყავი,

სოფელში რამდენჯერმე მოხდა კაციჭამიობის ფაქტი. ცოტაოდენი კარტოფილის გარდა, არაფერი იშოვებოდა. კარტოფილთან ერთად თივას და სხვადასხვა ბალახს ვხარშავდით. გული გვერეოდა, მაგრამ მაინც როგორღაც გაგვეკონდა თავი. სანამ იქ ვიყავი, სოფლის მოსახლეობა განახევრდა. შიმშილისაგან“.

1936 წელს კეკელია საბოლოოდ განთავისუფლდა და საქართველოში დაბრუნდა. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისშივე წითელ არმიაში გაინჭვიეს და ფრონტზე გაგზავნეს. როგორც კი საშუალება მიეცა, იგი გერმანელების მხარეზე გადავიდა.

ეს გახლავთ უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანის ჩვეულებრივი თავგადასავალი. კეკელიას მაინც ბედმა გაუღიმა. მილიონობით ადამიანს საბჭოთა კავშირის ციხეებსა და მონური შრომის ბანაკებში ამოხდა სული.

## ეკონომიკური ცხოვრება კომუნისტურ საქართველოში

• როგორც კი წითელმა არმიამ დაიპყრო საქართველო, მუშებს მაშინვე წაართვეს ყველა უფლება, რაც საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს ჰქონდათ. ჯერ სიტყვის, პრესის, კრებებისა და თავისუფალი არჩევნების უფლება გააუქმეს, ხოლო შემდეგ კომუნისტებმა პროფკავშირებს შეუტიეს. პროფკავშირები საქართველოში და საერთოდ საბჭოთა კავშირში მშრომელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას როდი ისახავს მიზნად, იგი მხოლოდ სახელმწიფოს ინტერესების სადარაჯოზე დგას. საბჭოთა პროფკავშირების საზრუნავს წარმოადგენს შრომითი დისციპლინის დაცვა, ე. წ. „ნორმების“ შესრულება და მალი გაზრდა, მუშებისაგან უკანასკნელი შესაძლებლობების გამოწურვა. მუშათა კლასის ისეთი მძლავრი იარაღი, როგორცაა გაფიცვა, რომელსაც მსოფლიოს ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში კანონი იცავს, საბჭოეთში მთლიანად აკრძალულია და სერიოზულ დანაშაულად ითვლება. გაბატონებულია მონური შრომა არაადამიანურ პირობებში. მუშებს არავითარი უფლებები არ გააჩნიათ და მხოლოდ ის, ვინც განსაკუთრებულ ერთგულებას ამჟღავნებს არსებული რეჟიმისადმი, ლებულობს განსაკუთრებულ პრივილეგიებს.

საბჭოთა რუსეთის მსგავსად, საქართველოსაც ჰყავს თავისი „სტახანოველები“ — ადამიანები, რომლებიც გადაჭარბებით ასრულებენ ნორმებს. ეს ადამიანები ქმნიან ახალ კლასს, ახალ არისტოკრაციას საბჭოთა „უკლასო“ საზოგადოებაში.

## ინდუსტრიალიზაცია-კოლექტივიზაცია

კომუნისტებმა საქართველოს მიმართ იმთავითვე კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკა შეიმუშავეს, საქართველოს ეკონომიკა საბჭოთა რუსეთის ერთგვარ დანამატად აქციეს. თანდათანობით საქართველო, რომელსაც პირველ მსოფლიო ომამდე და დამოუკიდებლობის პერიოდში საკმაოდ საგულისხმო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა მსოფლიოსთან, თითქმის მთლიანად რუსეთის ბაზარზე დამოკიდებული გახდა; ინგლისის, გერმანიის, ბელგიისა და საფრანგეთის ფოლადის ქარხნებს საქართველო ამარაგებდა მარგანეცით; ქართული თამბაქო იგზავნებოდა ინგლისში, სკანდინავიის ქვეყნებში და თვით ეგვიპტეში, საიდანაც ხდებოდა მისი, როგორც ეგვიპტურის, რეექსპორტი; ქართული ღვინო და ხილი განთქმული იყო მთელ მსოფლიოში და ევროპის ყველა ქვეყანაში იყიდებოდა. ყოველივე ეს და ბევრი სხვაც ამჟამად მთლიანად რუსეთში იგზავნება.

მართალია, კომუნისტებმა დიდად შეუწყვეს ხელი საქართველოს ინდუსტრიალიზაციას, აშენდა ახალი ელექტროსადგურები; კიდევ უფრო გაფართოვდა მარგანეცის, რკინის, ქვანახშირის, სპილენძის, თუთიის, ბარიტების წარმოება; საფუძველი ჩაეყარა და ვითარდება მეტალურგია, რკინისა და ფოლადის წარმოება, მანქანათმშენებლობა, ქიმიის ინდუსტრია, მაგრამ ყოველივე ამას ძალიან ცოტა სიკეთე მოაქვს საქართველოსათვის. ყველაფერი რუსეთში იგზავნება და, როდესაც ოდესმე საქართველო კვლავ მოიპოვებს დამოუკიდებლობას, მის წინაშე დადგება რთული ამოცანა — იპოვოს შესაფერისი ბაზარი თავისი პროდუქციისათვის.

იგივე ითქმის სოფლის მეურნეობაზე. კომუნისტებმა დიდად შეუწყვეს ხელი ჩაის, თამბაქოსა და ციტრუსების წარმოებას, ვინაიდან ყოველივე ეს ძალიან სჭირდება საბჭოთა რუსეთს. მეორე მხრივ, ხორბლის წარმოებას აღარ ექცევა ყურადღება და საქართველო იძულებულია მარცვლეული რუსეთიდან შემოიტანოს, თუმცა თავისუფლად შეუძლია თვითონაც აწარმოოს. ყველაფერი, რასაც საქართველოში აწარმოებენ, რუსეთში იგზავნება. საკმარისია თუნდაც თვალი გადავაავლოთ გაზეთ „კომუნისტს“, სადაც ამაზე პირდაპირ არის ლაპარაკი. იქვე ფოტოსურათზე აღბეჭდილია ქართული ხილით, თამბაქოთი და კონსერვებით დატვირთული მატარებლები, რომლებიც რუსეთისაკენ იგზავნება. მოსკოვში ადვილად იყიდით ქართულ ყველს და

სხვა სურსათს, რაც თბილისში ძნელად იშოვება. ფორთოხალი, მანდარინი, გრეიფრუტი სტალინგრადსა და ციმბირის ინდუსტრიულ ცენტრებში იგზავნება, მაგრამ მათ ვერ შეხვდებით ბათუმში — ციტრუსების წარმოების ცენტრში.

საქართველოდან მიღებული სანდო ცნობის თანახმად, 1953 წლის მაისში ბერიამ გამოსცა ბრძანება, რომ ადგილობრივი მრეწველობის ყველა ნაწარმის რეალიზება ჯერ საქართველოში უნდა მოხდეს და რაც დარჩება, მხოლოდ ის უნდა გაიგზავნოს რუსეთში. ბერიას გეგმის თანახმად, საქართველოს თვითონვე უნდა დაექმყოფილებინა თავი საკუთარი პური. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ბერიას ლიკვიდაციის შემდეგ ეს გეგმები აღარ ხორციელდება და დღეს სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდა.

საქართველო ყოველთვის წვრილ მესაკუთრეთა ქვეყანა იყო. დამოუკიდებლობის პერიოდში გატარებული აგრარული რეფორმის შედეგად ეს ტენდენცია კიდევ უფრო განმტკიცდა. ქართველ გლეხს უსაზღვროდ უყვარდა თავისი მიწა და ბალ-ვენახი. ამ მიზეზის გამო კოლექტივიზაცია მისთვის უფრო მძიმე დარტყმა აღმოჩნდა, ვიდრე რუსი გლეხისათვის.

პირველი კოლმეურნეობები ქართველ გლეხობას თავს მოახვიეს ჯერ კიდევ 1929 წელს. კომუნისტების დევიზი იყო: „ბოლო მოვულოთ კულაკობას სრული ლიკვიდაციის გზით“. კომუნისტებს სულაც არ ენაღვლებოდათ, რომ საქართველოში არავითარი კულაკები არ ყოფილან. თბილისში შეიქმნა საქართველოს სოფლის მეურნეობის „სოციალისტური რეკონსტრუქციის“ ე. წ. „საერთო შტაბი“, რომლის აგენტები ანუ ე. წ. ბრიგადირები, მთელ ქვეყანას მოედგნენ.

მთელი 7 წელი, 1929-36 წლებში, ქართველი გლეხები შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ კოლექტივიზაციას. ქვეყანას ანარქია დაეუფლა. გაიშალა პარტიზანული ბრძოლა, რომელიც თავისი მასშტაბით 1924 წლის აჯანყებას უტოლდება. 1930 წელს საქართველოს მთებში ჩრდილოდასავლეთით ნამდვილი ბრძოლები იყო გამართული. რეჟიმში იძულებული გახდა გამოეყენებინა წითელი ჯარი და ავიაცია. ამ ბრძოლების დროს მოკლეს მრავალი გლეხი, მათ შორის ქალებიც. 1930 წლის 6 ივნისს საქართველოს მაშინდელი მთავრობის მეთაურმა შ. ელიავამ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე განაცხადა:

„სიტუაცია საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიაში ამჟამად



ძალიან მძიმეა. საბჭოთა კავშირის არც ერთ კუთხეში არ არის ასეთი რთული ვითარება. ქართველი გლეხობა მხოლოდ სათანადო მომენტს ელოდება. ათასობით მათგანი ტყეებსა და მთებში გავიდა ჩვენთან საბრძოლველად“.

კოლექტივიზაციის წლებში მოსკოვს არასოდეს ჰყოლია ამიერკავკასიაში 80 ათას ჯარისკაცზე ნაკლები. ეს ვეება ძალა იყო გლეხობის წინააღმდეგ. ათასობით ქართველი ბრძოლებში დაიღუპა. ათეულათასობით ქართველი ციმბირსა და ჩრდილოეთ რუსეთში გადაასახლეს.

### ქართველ კომუნისტთა ოპოზიცია მოსკოვისადმი. 1937-38 წლების დიდი წმენდა

უნდა ითქვას, რომ საქართველოში კოლექტივიზაციისადმი ოპოზიციას თან ახლდა ეროვნული მოძრაობის აღორძინება და გამძაფრება, რაც მიმართული იყო რუსეთის ჰეგემონიის წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობა უსაფუძვლოდ როდი ფიქრობდა, რომ ეროვნული მოძრაობის აღორძინებაში პასუხისმგებლობა არა მხოლოდ ხალხს, არამედ ქართველ კომუნისტებსაც ეკისრებოდათ. ამ უკანასკნელთაგან ბევრს სრულიადაც არ ხიბლავდა კომუნისტური ერთიანობის იდეა და გულწრფელად უწყობდა ხელს ეროვნული კულტურის აღორძინება-განვითარებას. ცენტრალური ხელისუფლება ეჭვის თვალით უყურებდა ასეთ ქართველ კომუნისტებს.

ეჭვი ქართველი კომუნისტებისადმი მოსკოვს ჯერ კიდევ 1922 წელს გაუჩნდა: როდესაც სსრკ-ს კონსტიტუციის პროექტი მზადდებოდა, ცნობილი გახდა, რომ ქართველი კომუნისტები, ე. წ. „უკლონისტები“, არ უჭერდნენ მხარს საკავშირო კონსტიტუციის შექმნას. მათ მიაჩნდათ, რომ საქართველო და სხვა რესპუბლიკები საბჭოთა რუსეთთან დაკავშირებული უნდა ყოფილიყვნენ არა ერთიანი სისტემით. „უკლონისტები“ გრძნობდნენ, რომ საბჭოთა კავშირის შექმნა ცენტრალიზაციასა და სუვერენული უფლებების დაკარგვას მოასწავებდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ამ საკითხში სტალინმა გაიმარჯვა.

საქართველოში ეროვნული მოძრაობის ზრდამ, რასაც თან დაერთო მტკიცე წინააღმდეგობა კოლექტივიზაციის მიმართ, იმდენად შეაშფოთა კრემლი, რომ 1937-38 წლებში მან სასტიკ „წმენდას“ მიმართა. ამ წმენდაში მოჰყვნენ არა მხოლოდ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები, არამედ საქართველოს კომპარტიის ის წევრებიც, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ კოლექტივიზაციითა და კრემ-

ლის მიერ გეზად აღებული რუსიფიკაციის პოლიტიკით. „ტიტოიზმი“ შედარებით ახალი ცნებაა, მაგრამ მასში ჩადებული შინაარსი არახალია. მრავალი ქართველი კომუნისტი, შესაძლოა უმრავლესობა, პოტენციურად „ტიტოისტი“ იყო. მათგან ბევრნი სტალინის დიდი ხნის მეგობრები და თანამემამულენი იყვნენ, მაგრამ სტალინმა, ამ „უდიდესმა რუსთაგანმა“ ყველა დროის „უდიდეს რუსთა“ შორის, არ დაინდო ისინი. ეჟოვს, რომელიც იმხანად თავზარდამცემ ენკავედეს (საიდუმლო პოლიციას) ხელმძღვანელობდა, და მის ჯალათებს დაევაღათ მოესპოთ ყველა მეტნაკლებად თვალსაჩინო ქართველი კომუნისტი.

საქართველოს ხელისუფლებისა და კომპარტიის ვერც ერთი უბანი, მეტიც, ვერც ერთი ორგანიზაცია ვერ გადაურჩა საიდუმლო პოლიციის მიერ ჩატარებულ წმენდას. ფართო მასშტაბის დახვრეტებსა თუ გადასახლებებს და ყოველივე იმის მოსპობას, რაც ქართველებს თავიანთ წარსულს, დაკარგულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას წოვავებდა, საფუძვლად დაედო „უკლონიზმის“ ბრალდება.

### საქართველო გიორგი მსოფლიო ომის დროს

მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, საქართველო და საერთოდ, მთელი საბჭოთა კავშირი, სრულ აპათიასა და ინდიფერენტულობას მოეცვა. ხანგრძლივმა ჩაგვრამ, საშინელმა „წმენდამ“, ელემენტარული უფლებების უქონლობამ და ცხოვრების სიდუხჭირემ ხალხს არაქათი გამოაცალა. ადამიანებს სულის მოთქმა და მშვიდი ცხოვრება ენატრებოდათ. გარდა ამისა, კომუნისტური დიქტატურის პირობებში ხანგრძლივმა ცხოვრებამ და კომუნისტურმა წვრთნამ მოსახლეობას, მეტადრე ახალგაზრდობას, თავისებური ფსიქოლოგიური განწყობა, კერძოდ, თავის გადარჩენისა და შეგუების ბუნებრივი ინსტინქტი გამოუმუშავა. ეს ინსტინქტი უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა ყველა სხვა ფაქტორს შორის.

როდესაც ჰიტლერი თავს დაესხა საბჭოთა რუსეთს და თავდაპირველად დაუბრკოლებლად მიიწევდა წინ, საბჭოეთის დამხობისა და ამ იმპერიის მოსპობის შესაძლებლობამ კვლავ აღუძრა იმედი ქართველ ხალხს, 200 000-დან 300 000-მდე ქართველი გაიწვიეს საბჭოთა არმიაში. ამათგან 80 000-დან 100 000-მდე გერმანელთა ხელში აღმოჩნდა. უმრავლესობა ნებაყოფლობით გადადიოდა გერმანელთა

მხარეს, როცა კი ამის საშუალება ეძლეოდა 1942 წელს გერმანიის მთავრობამ შექმნა ქართული შტაბი (Georgischer Verbindungs stab), რომელსაც ნება დართეს ტყვედ ჩავარდნილი ქართველებისაგან შეექმნა ქართული საჯარისო ნაწილები; კიდევ რამდენიმე ათასი გერმანელთა შენაერთებში იბრძოდა, ხოლო რამდენიმე ათასი შრომითს ბატალიონებში მუშაობდა. გაიარეს თუ არა სათანადო წვრთნა, ქართული ნაწილები საბრძოლველად გაგზავნეს წითელი არმიის წინააღმდეგ და მათაც თავი გამოიჩინეს, როგორც ჩინებულმა მეზობლებმა. მათ დიდ პატივს სცემდნენ გერმანელი მხედართმთავარნი. ქართველებმა პროპორციულად უფრო დიდი მსხვერპლი გაიღეს, ვიდრე გერმანიის არმიის სხვა საჯარისო ფორმირებებმა. ამის მიზეზი, ცხადია, ის როდი იყო, თითქოს ქართველებს განსაკუთრებულად უყვარდათ გერმანია ან მოსწონდათ მისი პოლიტიკა. უბრალოდ, მათ მიაჩნდათ, რომ გერმანია იყო ეს ძალა, რომელიც ბოლოს მოუღებდა საბჭოთა იმპერიასა და ტირანიას. ქართველები გერმანელების მხარეს იმიტომ გადადიოდნენ, რომ ამით საშუალება ეძლეოდათ, ებრძოლათ კომუნისტებისა და მათი სამშობლოს რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ.

ამასობაში საქართველოში ხალხი მოუთმენლად ელოდა განმათავისუფლებელი არმიის შესვლას. გერმანელებმა საქართველოში გადმოსხეს მრავალი სადესანტო საბრძოლო ჯგუფი. მართალია, მათი უმრავლესობა უთუოდ ან მოკლეს, ან შეიპყრეს და მოსპეს, ამ ჯგუფების იქ ყოფნა მოსახლეობისათვის ცნობილი იყო და ეს კიდევ უფრო დიდ იმედებს აღუძრავდათ. ხალხმა შეიარაღება დაიწყო და მომენტს ელოდა. კვლავ გაჩნდა არალეგალური ორგანიზაციები, კვლავ დაიწყო გავრცელება ანტიკომუნისტურმა და ანტირუსულმა ლიტერატურამ. ტყეებსა და მთებში შეიქმნა შეიარაღებული რაზმები, რომლებიც თავს ესხმოდნენ საბჭოთა ჯარს და ხელს უშლიდნენ აღჭურვილობის გაგზავნას ჩრდილოეთისაკენ. დიდმა მღელვებებამ მოიცვა ხალხი, როდესაც საქართველოს გერმანიის ჯარები და მათ შორის — ქართული ფორმირებები მოადგნენ. თბილისში, ოპერის თეატრში გამართულ შეხვედრაზე გავრცელდა დურცლები კომუნისტური წყობილების დამხობისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოწოდებით. თბილისში, სხვა ქალაქებსა და სოფლებში შენობების კედლებზე გაჩნდა წარწერები: „ძირს საბჭოთა კავშირი! გამარჯვოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს!“

ცალკეული პირნი, ემისრები მიდიოდნენ გერმანელების მხარეზე მებრძოლ ქართულ ლეგიონში და აუნყებდნენ მათ, რომ საქართველო მზად არის ჩამოშორდეს რუსეთს, რომ შექმნილია ხელისუფლება, რომელიც ხელში აიღებს ძალაუფლებას. არსებობს მოსაზრება, რომ ამ არალეგალურ მთავრობას საბჭოთა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი რაფავა ხელმძღვანელობდა. რაფავა ბერიას პირადი მეგობარი იყო. ამბობდნენ, რომ ბერიასათვის არათუ ცნობილი იყო რაფავას ურთიერთობა გერმანელებთან, არამედ ის ხელსაც უწყობდა ამას. მაგრამ გერმანელებმა ვერ შეძლეს საქართველოში შემოსვლა. მალე მათ უკან დაიხიეს და ამასთან ერთად ბოლო მოეღო ქართველთა იმედს.

ომის დამთავრებისას გერმანიაში მყოფი 80 000 ქართველიდან მხოლოდ რამდენიმე ათასმა შეძლო დასავლეთში დარჩენა. მრავალი მათგანი ბრძოლებში დაიღუპა, რამდენიმე ათასმა სამშობლომდე მიაღწია, ხოლო უმრავლესობა საბჭოთა ხელისუფალთ გადასცეს. მათი რეპატრიაცია ძალდატანებით მოხდა. ისინი ან დახვრიტეს, ან ციმბირის მონური შრომის ბანაკებში ამოხადეს სული.

### საქართველო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

ძნელია იმის ზუსტად დადგენა, თუ რამდენი ქართველი დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში. წითელ არმიასი 300 000-მდე კაცი გაიწვიეს. მრავალი მათგანი დაიღუპა; 80 000 ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს, უფრო სწორად, უმრავლესობა თავისი ნებით გადავიდა გერმანელების მხარეზე. მათი ნაწილი საკონცენტრაციო ბანაკებში დაიღუპა. მოგვიანებით მათგან, ვინც გერმანელების მხარეზე იბრძოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ბევრი ბრძოლის ველზე დაეცა. მაგრამ ალბათ ყველაზე დიდი დანაკლისი ომის შემდეგ განიცადეს. ვითარების უცოდინარობის გამო დასავლეთის მოკავშირეებმა დიდი შეცდომა დაუშვეს, როდესაც ასიათასობით, შესაძლოა მილიონობით ყოფილი საბჭოთა მოქალაქე, რომლებიც ან გერმანელების მხარეზე იბრძოდნენ წითელი არმიის წინააღმდეგ, ანდა გერმანიაში მუშაობდნენ ფაბრიკა-ქარხნებსა და სოფლის მეურნეობაში, ძალით დააბრუნეს საბჭოთა კავშირში. ამ უბედურთა შორის მრავალი ათეული ათასი ქართველი იყო. თითქმის უტყუარად დადგენილია, რომ მათი უმრავლესობა კომუნისტებმა სიკვდილით დასაჯეს, დახვრიტეს, ჩამოახ-

რჩევს, ანდა მონური შრომის ბანაკებში ამოხადეს სული.

მართალია, საბჭოთა კავშირის მოსახლეობა მოელოდა, რომ ომში გამარჯვებისა და დასავლეთთან მჭიდრო კავშირების შედეგად ვითარება გაუმჯობესდებოდა და რეჟიმი უფრო ნორმალური, უფრო ლიბერალური გახდებოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. პირობები კიდევ უფრო გაუარესდა. ევროპიდან დაბრუნებული მილიონობით სამოქალაქო პირი და წითელარმიელი მონური შრომის ან გამოსასწორებელ ბანაკებში გაგზავნეს, სადაც ისინი „გონს მოჰყავდათ“. ეჭვქვეშ იდგა ყველა, თვით მაღალი რანგის ოფიცრებიც, ვისაც ევროპაში მოუხდა ყოფნა.

საბჭოთა კავშირის არარუსი მოსახლეობა, მათ შორის ქართველები, განსაკუთრებით მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ, ვინაიდან ომის დროს მათ გამოამუხლავნენ თავიანთი პოლიტიკური სიმპათიები. მთელი საქართველო ნატრობდა საბჭოეთის დამარცხებას, მაგრამ ომი დამთავრდა და საქართველო კვლავ კომუნისტების კლანჭებში დარჩა. ისინი, ვინც სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ, ან დახვრიტეს, ან შრომა-გასწორების ბანაკებში გაგზავნეს. საქართველო კვლავ „მოათვინიერეს“, მას კვლავ აგრძობინეს კომუნისტებისა და მათი უღვთო ძალების სისასტიკე და არაადამიანურობა.

და მაინც, ტერორის, გაუთავებელი დაპატიმრებებისა და გადასახლებების მიუხედავად, დღითი დღე ძლიერდება ეროვნული მოძრაობა რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფისათვის. ამ მოძრაობამ ისეთი გაქანება მიიღო, რომ კრემლი იძულებული გახდა კვლავ ნაცადი მეთოდისათვის — „წმენდისათვის“ მიემართა.

1952 წლის აპრილში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო სხდომაზე მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოვიდა ბერია, რომელმაც მკაცრად გააკრიტიკა პარტიის ადგილობრივი ხელმძღვანელობა. მოსკოვი ქართველ კომუნისტებს ბრალად სდებდა ქართველი ახალგაზრდობის არასაკმარის კომუნისტურ სულისკვეთებას, „ლოკალური პატრიოტიზმის“ გამოვლინებას და ამ ტენდენციისათვის ხელშეწყობას.

დაიწყო ახალი ფართო „წმენდა“, რაც საქართველოს კომუნისტური იერარქიის ზედა ფენასაც შეეხო. მაგრამ ეს იყო უკანასკნელი „წმენდა“. გარდაიცვალა სტალინი და სულ მალე მოსპეს ბერია. მართალია, ორივენი ქართველები იყვნენ, მაგრამ ქართველებმა, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის მთელმა მოსახლეობამ, შედარებით ამოისუნთ-

ქეს. აღარ იყო ცოცხალი ორი უდიდესი ჯალათი კაცობრიობის ისტორიაში, რომლებმაც საქართველოს განსაკუთრებით შავი დღე აყარეს.

1953 წლის სექტემბერში თბილისის რადიომ გამოაცხადა, რომ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვალერიან ბაქრაძე გაანთავისუფლეს თანამდებობიდან. მას მიაყოლეს სამი მინისტრი, საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი და მაღალი რანგის კიდევ 9 ქართველი კომუნისტი. ოქტომბერში გაანთავისუფლეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და ორი მინისტრი, ისევე როგორც საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის სხვა შედარებით დაბალი რანგის პასუხისმგებელი მუშაკები. ყველა მათგანი, როგორც ჩანს, დააპატიმრეს და ალბათ მათაც წინამორბედთა ხვედრი მოეღო.

საგულისხმოა, რომ საქართველოს მთავრობაში მიმდინარე ცვლილებების მიუხედავად, ქართველ ხალხს არაფერი აქვს საერთო ამ მთავრობასთან. კომუნისტები თავგამოდებით ირწმუნებიან, რომ საქართველო, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკები, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, სოციალისტური სახელმწიფოა. მაგრამ ჭეშმარიტად დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლებას ხალხი ირჩევს და ხალხის ნება გადააყენებს, ხოლო საქართველოში ხალისუფალნი მოსკოვის ბრძანებით ინიშნებიან. ყოველთვის ნათელი იყო, რომ საქართველოში თავისუფლებისა და დემოკრატიის ნასახიცი არ არსებობს, ისევე როგორც არ არსებობს თავისუფლება და დემოკრატია საბჭოთა იმპერიის, მათ შორის — რუსეთის რომელიმე ნაწილში. ამაზე მეტყველებს მოვლენების განვითარება საქართველოში, განსაკუთრებით ომის შემდეგ.

უკანასკნელი დიდი „წმენდა“ საქართველოში ბერიას დაპატიმრების შემდეგ დაიწყო და მან რამდენიმე თვეს გასტანა. საბჭოთა მთავრობის ოფიციალური განცხადების თანახმად, საქართველოში 3 000-ზე მეტი ადამიანი გარიცხეს პარტიიდან და დაითხოვეს თანამდებობიდან. ძნელი სათქმელია, მათგან რამდენი მოსპეს და რამდენი გადაასახლეს. მაგრამ საეჭვო არ უნდა იყოს, რომ საქართველო ვერც ამჯერად გადაურჩებოდა სისხლისღვრას. ბერიას დამხობის შემდეგ რამდენიმე თვის მანძილზე საქართველო საომრად გამზადებულ ქვეყანას ჰგავდა. კომუნისტებს ისე შეერყათ პოზიციები და ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებს წითელი არმიის გუშაგები იცავდნენ.



საქართველოს ნამდვილი ხელისუფალი არის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეთაური, არმიის გენერალი ანტონოვი, ეროვნებით რუსი. იგი არის ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონი, რომელიც მხოლოდ მოსკოვს ემორჩილება. 1954 წელს მან მიიღო თბილისში საპირველმართო პარადი, რომელსაც ადრე საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის პრემიერი იღებდა. როგორც ჩანს, კომუნისტებს სურდათ თვალნათლივ ეჩვენებინათ ქართველი ხალხისათვის, თუ ვის ხელშია ძალაუფლება საქართველოში. საინტერესოა, რომ ალლუმს, რომელიც ანტონოვმა მიიღო, აგრეთვე რუსი ხელმძღვანელობა, კერძოდ — გენერალი გლადკოვი, თუმცა თბილისის გარნიზონს ნომინალურად ქართველი გენერალ-მაიორი კობიძე მეთაურობს.

საქართველოში საბჭოთა რეჟიმის ძალისხმევა დღეს მთლიანად მიმართულია ინტენსიური რუსიფიკაციისაკენ. კომუნისტები ძალ-ღონეს არ იშურებენ ქართველების გასარუსებლად. ქართულ ენაში ნერგავენ რუსულ სიტყვებს, თუმცა ქართულ ენას იმავე ცნებების გამოსახატავად ჩინებული სიტყვები მოეპოვება; უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში დაჟინებით ინერგება რუსული ენა; 1954 წელს საქართველოს სკოლებში 400 პროცენტით გაიზარდა რუსული ენისა და ლიტერატურისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობა; განადიდებენ ყოველივე რუსულს და აყალბებენ ისტორიას იმის დასამტკიცებლად, თითქოს საქართველოს დაკავშირება რუსეთთან დადებითი მოვლენა იყო. რაც ყველაზე საშინელია, რუსეთი ახორციელებს საქართველოს თანამიმდევრულ კოლონიზაციას. ეს დაიწყო 1921 წელს, როგორც კი წითელმა არმიამ საქართველო დაიპყრო, ხოლო შემდგომ პროცესი კიდევ უფრო გამძაფრდა. 1922 წელს ქართველები საქართველოს მოსახლეობის 74,7 პროცენტს შეადგენდნენ, 1926 წელს — 70,4 პროცენტს, 1939 წელს — 64,6 პროცენტს. უფრო გვიანდელი მონაცემები არ გაგვაჩნია, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ დღეს უარესი ვითარებაა. რუსები საქართველოს უდიდეს ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ.

მაგრამ ტოტალური განადგურების გარდა, ქართველებს ხელს ვერაფერი აალებინებს თავიანთ სამშობლოზე, ენასა და ტრადიციებზე. ისინი საუკუნეების მანძილზე ბრძოდნენ თავისუფლებისა და ეროვნული თვითმყოფადობისათვის და ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ქართველი ხალხი არც ახლა აპირებს ამ ბრძოლაზე უარის თქმას.

1990 წლის 26 მაისს, გაზეთ „სამშობლოს“ ჩანართის სახით, ჩვენ 200-ათასიანი ტირაჟით გამოვეცით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია. დღეს კი — 1991 წლის 25 თებერვალს — ნითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის 70-ე წლისთავზე — მკითხველს მეორე ასეთ გამოცემას ვთავაზობთ. ეს გახლავთ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის კომუნისტური აგრესიის შემსწავლელი სპეციალური კომიტეტის საგანგებო მოხსენება „საქართველოს ოკუპაცია და გასაბჭოება კომუნისტების მიერ“, რომელიც 1955 წელს ცალკე ბროშურად დაიბეჭდა ვაშინგტონში და რომელიც დღემდე უცნობია ჩვენი საზოგადოებისათვის. ბროშურის ეგზემპლარი რედაქციას გადმოსცა ბატონმა ვახტანგ გურგენიძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ მას. რედაქციის თხოვნით ტექსტი ინგლისურადაც თარგმნა ბატონმა ირაკლი კენჭოშვილმა.

წინამდებარე მოხსენება ერთი ნაწილია იმ ვრცელი და მრავალმხრივი კვლევისა, რომელსაც აშშ კონგრესის წარმომადგენელთა პალატა ეწეოდა საბჭოთა კავშირში კომუნისტური აგრესიის შესასწავლად და იგი სპეციალური კომიტეტისათვის შეღმისაწვდომი სხვა წყაროების გარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა (ლ. ლუმაძე, ს. კობიაშვილი, ა. ცომაია, ა. კეკელია, ვ. ჯანგულია...) ჩვენებებსაც ეყრდნობა, რომელიც მათ 1954 წლის 13 თებერვალს მიუციათ სპეციალური კომიტეტისათვის. ერთ-ერთმა ან ემიგრანტთაგანმა — ბატონმა არჩილ (ბონდო) კეკელიამ ამახსენა წინათ ოსილისში ყოფნისას გვითხრა, რომ ამ მოხსენების არსებობა ნიუ-იორკის ქართველთა სათვისტომოს დამსახურებაა: როდესაც მათ შეიტყვეს, რომ აშშ კონგრესის წარმომადგენელთა პალატა სპეციალურად შეისწავლიდა საბჭოთა კავშირის მიერ ბალტიის ქვეყნების ოკუპაციის საკითხს, ესარგებლეს პირადი კონტაქტებით და ამერიკელი კონგრესმენები საქართველოს ოკუპაციითაც დაინტერესეს.

წარმომადგენელთა პალატას მოხსენება განსახილველად წარუდგინა სპეციალური კომიტეტის თავმჯდომარემ ჩარლზ კერსტენმა (ესკონსინი). მის გარდა კომიტეტში კიდევ რვა წევრი იყო: ფრედ ბასი (ილინოისი), ელვინ ბენტილი (მიჩიგანი), ედუარდ ჩონინი (პენსილვანია), პატრიკ პილინჯი (კალიფორნია), რეი მაღენი (ინდიანა), თადეუს მახროვიჩი (მიჩიგანი), თომას ლოი (კონექტიკუტი) და მაიკლ ფეიგანი (ოჰაიო). კომიტეტის კონსულტანტი გახლდათ ჯეიმს მაკატაგი, თანამშრომელთა დირექტორი — ედუარდ თ'კონორი.

მოხსენებაში არის რამდენიმე უზუსტობა თუ შეუსაბამობა, გვხვდება გამეორებებიც, ზოგიერთი დებულება იქნებ საკამათოცაა, მაგრამ ამის მიუხედავად, მოხსენების ტექსტს ფაქტობრივად უცვლელად ვაქვეყნებთ ქართულ ვნახე. ვფიქრობთ, აი მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტია უცხოეთში საქართველოს ოკუპაციის წარმოჩენის თვალსაზრისით და გარკვეულ ინტერესს აღძრავს როგორც სპეციალისტთა, ისე მკითხველთა ფართო წრეებში.

პაატა ნაცვლიშვილი,  
გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორი.

Handwritten notes and signatures in the bottom right corner, including the name "პაატა ნაცვლიშვილი" and other illegible markings.